619
1979

ISSN 0130-1624



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროშა

აგვისტო
№ 8 1979 წ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დიდი ისტორიული დოკუმენტი

გიორგი ნატროშვილი

მაისის პირველ რიცხვებში გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ“. ეს არის მართლაც ეპოქალური მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელსაც განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებაზე წაკითხულ მოხსენებაში ეს დადგენილება შეაფასა, როგორც თვისობრივად ახალი ეტაპი მთელი ჩვენი იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი საქმიანობისა. ეს დადგენილება ეკუთვნის იმ ღირსშესანიშნავი დოკუმენტების რიცხვს, რომელთა მეშვეობით პარტია, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, წარმართავდა ქვეყანას ახალი სიმაღლეებისაკენ. „მთელი ჩვენი პარტიის კოლექტიური გონების მეოხებით, — აღნიშნავდა ამხანაგი შევარდნაძე, — ახალი კონკრეტულ-ისტორიული პირობების შესაბამისად ვითარდება, ახალი დებულებებითა და დასკვნებით მდიდრდება მარქსისტულ-ლენინური თეორია. ეს ფაქტი მოითხოვს შესაბამისად განვავითაროთ აგიტაციისა და პროპაგანდის, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსი, სტილი, საშუალებანი, ფორმები და მეთოდები, ავამაღლოთ მათი ეფექტიანობა, ინტელექტუალური ზემოქმედება, ემოციურობა, გავაძლიეროთ მათი მაორგანიზებელი და მამობილიზებელი როლი“.

ინტელექტუალური ზემოქმედება და ემოციურობა... რა უაღრესად ფართო გასაქანი ეძლევა საბჭოთა მწერლის, ჟურნალისტის, პრესის მუშაკის შემოქმედებით თაოსნობას, ფანტაზიას, ტალანტს; მას მოეთხოვება არა მარტო მაღალი ინტელექტუალური დონე, არამედ მის სიტყვას ემოციურობის მძლავრი ძალაც უნდა ჰქონდეს, ის ძალა, კაცის გულს რომ აათრთოლებს, აღძრავს კეთილი საქმისათვის. ცენტრალური კომიტეტის მაისის დადგენილება სრულიად კონკრეტულ გზასაც გვიჩვენებს; იგი ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს, რადიოსა და ტელევიზიას ავალებს „გაამრავალფეროვნონ ჟანრები, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სტილს, ენას, დაძლიონ მრავალსიტყვაობა და ფორმალობა, იზრუნონ გამოსვლების ოპერატიულობისათვის, დამაჯერებლობისა და გასაგებობისათვის; მიაღწიონ რომ გამოცემები არ იმეორებდნენ ერთმანეთს, ამასთან გაითვალისწინონ, რომ ოჯახების უმრავლესობა იღებს სულ ცოტა სამ გაზეთს, რეგულარულად უყურებს ტელეგადაცემებსა და უსმენს რადიოს. გაზეთებს, ჟურნალებს უნდა ჰქონდეთ თავიანთი „სახე“, ძირითადი თემების თავიანთი წრე, მიაწოდონ მასალები მათი პროფილისათვის დამახასიათებელი სტილითა და გაფორმებით“.

აქ არის მთელი საბრძოლო პროგრამა ყოველი გაზეთისათვის, ყოველი ჟურნალისათვის. ვერავინ იტყვის, რომ ბოლო წლების მანძილზე ქართული საბჭოთა პრესა არ გაუმჯობესდა; იგი მართლაც მხარდამხარ გაჰყვა გოლიათის ნაბიჯებით წინ წასულ ჩვენს ცხოვრებას, იგი იქცა რესპუბლიკის დაუცხრომელ და მშფოთვარე შემოქმედებითი საქმიანობის ნათელ სარკედ, და არა მარტო სარკედ, პასიურად რომ ასახავს სინამდვილეს, არამედ ის გახდა ოპერატიული მებრძოლიც, და მასზე თამამად შეიძლება გავავრცელოთ შესანიშნავი ქართველი პოეტის ლექსი „სიტყვა თანამედროვეს“.

რახან ხალხს უნდა ლექსიც, მუსიკაც —
და მსახური ხარ რახან,
საწერ მაგიდას კი არ უზიხარ,
ბარიკადებზე დგახარ.
ბარიკადებზე, ბარიკადებზე!
სიტყვას ავარდეს ბოლი,
ჩვენთვის დაცემულ მრავალ ათასებს
შეეხმიანე ბრძოლით.
მათი სიზმრები დუღდეს ფოლადად,
მათი ფიქრები თესე,
დაახვავებდე ხიდებს, ხომალდებს,
ბრძმედებს, კაშხალებს, ჰესებს.
არ აპატიო ვინც დოვლათს გპარავს,
ვინც ჩამორჩენას ფარავს,
არა და არა, ათასჯერ არა
კიდევ და კიდევ — არა!
არ შეურიგდე ბუნების ღალატს,
სეტყვას, ქარიშხალს, გვალვას,
არა და არა, არა და არა,
არა და არა, არა!
წინ იერიშზე გაიყოლიე,
რაც დაგიმშვენებს სინდისს,
დღევანდელობა და ისტორია,
სინამდვილე და მითი.

აქ შესანიშნავად არის გადმოცემული განწყობილება იმ რევოლუციური რომანტიკისა, იმ რევოლუციური ენთუზიაზმისა, რომელზედაც გულწრფელი მგზნებარებითა და გატაცებით ლაპარაკობდა მომხსენებელი რესპუბლიკის აქტივის კრებაზე, როცა აღნიშნავდა: „ჩვენი პარტია, ძვირფასო ამხანაგებო, ენთუზიასტთა პარტიაა. რევოლუციური ენთუზიაზმი ცოცხლობს და იმარჯვებს; რევოლუციური ენთუზიაზმი მარად იცოცხლებს და გაიმარჯვებს ჩვენი შემდგომი წინსვლის, კომუნიზმისაკენ წინსვლის საფუძველზე, რეალური სოციალიზმის ახალ გამარჯვებათა საფუძველზე, ჩვენი რევოლუციური ენთუზიაზმი მოიცავს ყველას, ცხოვრების ყველა სფეროს, თითოეული ჩვენი თანამემამულის გონებასა და გულს“.

განა საგულისხმო და ამაღელვებელი არ არის ის ფაქტი, რომ ამ იდეებს, ამ მისწრაფებებს, რასაც ქვეყანა ისმენს საკავშირო თუ რესპუბლიკური მაღალი პარტიული ტრიბუნებიდან, ასე შესანიშნავად გადმოსცემს პოეზია, ლექსი, რომ მწერალი ცხოვრობს და სუნთქავს იმ განწყობილებით, რითაც გამსჭვალულია ახალი ადამიანი, შემოქმედი კომუნიზმისა!

რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებაზე მომხსენებელმა დაწვრილებით მიმოიხილა ჩვენი პრესის ვითარება და იმ წარმატებებთან ერთად, რომელიც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, შეჩერდა იმ მნიშვნელოვან ხარვეზებზე, რომელთა გამოსწორებისათვის ჩვენ არ უნდა დავზოგოთ ძალ-ღონე და ენერგია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მოგვიწოდებს მუდამ ერთგულად ვიცავდეთ საბჭოთა პრესის ლენინურ ტრადიციას, რომელიც ვერ ურიგდება შტამპსა და შაბლონს, მრავალსიტყვაობასა და ფორმალობას. თუ გაზეთისა და ჟურნალის ახალი ნომერი მოსაწყენია, თუ ის ვერ აღელვებს მკითხველს და მხოლოდ გულგრილობის გრძნობას იწვევს, თუ ვერ აღაგზნებს მას ახალ საქმეთა აღსასრულებლად — მის გამოცემას აზრი ეკარგება. და განა დღეს, ჩვენს სინამდვილეში იშვიათად გვხვდება ამის დამადასტურებელი ფაქტები?! რამდენიც გნებავთ! აქ არ არის ადგილი კონკრეტული მაგალითების მოსაყვანად, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ არაერთი ჩვენი ჟურნალისტი, არაერთი ჩვენი მწერალი თითქოს მარცხენა ხელით წერს. ამას კი ჩვენ არ უნდა ვურიგდებოდეთ.

ლენინური პრესის ტრადიცია სწორედ ამ ერთფეროვნების, მოდუნების, შაბლონის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოგვიწოდებს. 1920 წელს ლენინი აღშფოთებით წერდა, რომ ჯერ კიდევ არიან ჯგუფები, წრეები და ფენები, რომლებიც „დაჟინებით მისდევენ კაპიტალიზმის ტრადიციებს (ჩვეულებებს), და ისევ წინანდებურად უყურებენ საბჭოთა სახელმწიფოს: მისცენ „მას“ ნაკლები და ცუდი ნამუშევარი, წაგლიჯონ „მას“ მეტი ფული... რამდენი მათგანი ვამხილეთ ჩვენ, რამდენი გავაკარით სამარცხვინო ბოძზე? პრესა ამაზე დუმს. ხოლო თუ წერს, კაზიონურად, ჩინოვნიკურად, არა როგორც რევოლუციური პრესა“.

ლენინი შეურიგებელი მტერი იყო ამ კაზიონურობის, ამ ჩინოვნიკური სტილისა და ფორმალიზმისა.

ამასთან ერთად გავიხსენოთ როგორი პრინციპულობით, როგორ განუხრელად იცავდა ლენინი გაზეთის ენის სიწმინდეს, როგორ ებრძოდა „მოდური სიტყვებით „თავმომწონეობას“, ე. წ. ფრანგულ-ნიჟნინოვგოროდულ სიტყვათ ხმარებას“ (ლენინისავე გამოთქმაა, რომელიც მომდინარეობს ა. გრიბოედოვის კომედიიდან „ვაი ჭკუისაგან“, სადაც მოგზაურობიდან შინ, მოსკოვში დაბრუნებული ჩაცკი თავის სატრფოს ეკითხება — მითხარით, გეთაყვა, როგორაა აქ საქმეები, ისევ გრძელდება ენების აღრევა, ისევ ურევენ ნიჟეგოროდულს ფრანგულ ენაშიო).

ლენინის წერილს, საიდანაც ჩვენ ეს ადგილები მოვიყვანეთ, ეწოდება „რუსული ენის გაწმენდის შესახებ“. ქვესათაურად მას აქვს — „ფიქრები მოცლილობისას, ე. ი. კრებებზე სიტყვების მოსმენის დროს“. ლენინი აქ აღნიშნავს: „რუსულ ენას ჩვენ ვაფუჭებთ. უცხოურ სიტყვებს ვხმარობთ საჭიროების გარეშე, ვხმარობთ მათ უმართებულოდ... რა თქმა უნდა, როცა ადამიანი, რომელსაც ახლახანს უსწავლია საერთოდ კითხვა, და განსაკუთრებით გაზეთის კითხვა, იწყებს მის გულმოდგინედ კითხვას, ის უნებლიედ ითვისებს გაზეთის ენას. მაგრამ სწორედ გაზეთის ენა იწყებს გაფუჭებას ჩვენში. თუ იმას, ვისაც კითხვა ახლახანს უსწავლია, ეპატიება იხმაროს, როგორც ახალი რამ უცხოური სიტყვები, ლიტერატორებს ეს არ ეპატიებათ. განა დრო არ არის ომი გამოვუცხადოთ უცხოურ სიტყვების ხმარებას საჭიროების გარეშე? უნდა გამოვტყდე, რომ თუ უცხოური სიტყვების წარამარა ხმარება მაბრაზებს (რადგან ეს აძნელებს ჩვენს გავლენას მასაზე), იმათ ზოგიერთ შეცდომას, ვინც გაზეთებში წერს, უკვე სავსებით შეუძლია მოთმინებიდან გამოიყვანოს კაცი“.

ჩვენ უნდა დავიწყოთ ენერგიული ბრძოლა ქართული ენის სიწმინდის დასაცავად. კარგი იქნება გაზეთებმა პატარა, განსაკუთრებული კუთხე გამოყონ ენის სიწმინდისათვის ბრძოლის საკითხებისათვის, როგორც ამას აკეთებს „ლიტერატურნაია გაზეტა“. ქართული ენის სიწმინდეზე ახლა თვითონ ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი ზრუნავს, მასზე ზრუნავს საბჭოთა მთავრობა.

საქართველოს პარტიული აქტივის კრებაზე სა-

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. საქ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

მართლიანად აღინიშნა, რომ დადგენილებათა სისტემაში, რომელთა მიზანია სულიერი ცხოვრების, პარტიულ ორგანიზაციათა იდეოლოგიური და პოლიტიკური საქმიანობის შემდგომი გამდიდრება-განვითარება, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მშობლიური ენის სწავლების შემდგომი გაუმჯობესების პრობლემას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ასეთი გადაწყვეტილება.

1974 წელს მიღებული იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ. ეს უბრალო დადგენილება კი არა, საქართველოს სს რესპუბლიკაში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაფართოებისა და გაღრმავების მთელი მეცნიერულად შემუშავებული სისტემაა. რუსული ენის — ერთა შორის ურთიერთობის ენის, ლენინის ენის, ოქტომბრის ენის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რათა ყოველი ერი და ეროვნება ეზიაროს მსოფლიო კულტურისა და მსოფლიო ცივილიზაციის დიად მიღწევებს. ყველას კარგად გვაქვს შეგნებული, რომ რუსული ენის შეუსწავლელად დღეს ვერ ავითვისებთ მთელ ცოდნას, რომელიც კაცობრიობას გამოუმუშავებია, უამისოდ კი, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა, შეუძლებელია გახდე კომუნისტი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება მოითხოვს ჩვენი პრესისაგან ყოველი მისი გამოსვლა იყოს ქმედითი, გამსჭვალული იყოს მაღალი იდეური შინაარსით. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებების, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლების, მისი წიგნების „მცირე მიწის“, „აღორძინებისა“ და „ყამირის“ საფუძველზე პარტიულმა ორგანიზაციებმა უკვე ბევრი რამ გააკეთეს აღმზრდელობითი და საინფორმაციო მუშაობის გასაღრმავებლად, მისი ეფექტიანობის ასამაღლებლად... უფრო შინაარსიანი, ოპერატიული და გასაგები გახდა პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მასალები.

და მართლაც, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ზემოხსენებული წიგნები ეს სამაგიდო წიგნებია, რომლებიც ასწავლიან მწერალსა და ჟურნალისტს თუ როგორი უნდა იყოს მისი მთელი საქმიანობა. ეს წიგნები ხალხის ცხოვრებასთან უმჭიდროესი კავშირის, უფრო მეტიც — ამ ხალხისაგან ავტორის განუყოფლობის შესანიშნავ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს. ისინი გადმოგვცემენ საბჭოთა ხალხის ბრძოლის, შრომისა და ცხოვრების ისტორიულ გამოცდილებას, სიბრძნეს მთელი უზარმაზარი ეპოქისა, სიბრძნეს ლენინის პარტიისა, იმ მაღალი ჰუმანიზმისა, რომელსაც თავისი შრომითა და ბრძოლით ამკვიდრებს საბჭოთა ქვეყანა და მთელი სოციალისტური ბანაკი, იმ ჰუმანიზმისა, რომელზეც დასაბამიდან ოცნებობდა ადამიანი და რომელიც დღეს, თვალით დასანახ და ხელშესახებ ფორმებს ღებულობს, მკვიდრდება თავისი რეალური სახით ჩვენს სამშობლოში.

როგორც „მცირე მიწაში“, ისე „აღორძინებასა“ და „ყამირში“ ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზი გაუსვა სოციალისტური რეალიზმისათვის, მთელი ჩვენი მწერლობისათვის ერთ უაღრესად მნიშვნელოვან, უაღრესად პრინციპულ მხარეს, სახელდობრ, იმ დებულებას, რომ გმირული, ჰეროიკული საწყისი მთელი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, ბრძოლაში, ისტორიაში როდია რაღაც განსაკუთრებული, გამოცალკევებული, მარტო ამა თუ იმ პიროვნებისათვის მინიჭებული რამ, არამედ იგი, — ეს გმირული საწყისი მასობრივია, იგი თვით ხალხის წიაღში, მის სულიერ სამყაროშია. მარია პედენკო ერთი როდია, ასეთები არიან ათასობით ჩვენი კომკავშირელი ქალიშვილები და, იმავე დროს, სრულიად თავისებური, მკაფიოდ გამოკვეთილი ინდივიდუალობის მქონენი. ასე უნდა ვწერდეთ ჩვენ მეათე ხუთწლედის გმირებზეც.

როცა აჭარის წყალს აღმა აუყვები და გახედავ გაღმა-გამოღმა ტყიან ფერდობებზე დაკიდებულ საკოლმეურნეო ნაკვეთებს, — კიდევ ერთხელ რწმუნდები, თუ რა შეუძლია ადამიანის გამრჯე ხელებს. გამრჯე ხელების მადლი კი თვალნათლივ ატყვია მთიანი აჭარის ყოფა-ცხოვრებას.

ქვემოთ ჩვენ საუბარი სწორედ მთიანი აჭარის დღევანდელ დღეზე, მის მშრომელ ადამიანებზე გვექნება.

## დღეის დღის საზრუნავი

აჭარის მთიანი რაიონების ძირითადი პრობლემაა შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმება. ეს საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით დგას ისეთ მცირე მიწიან რაიონებში, როგორიცაა ქედა, შუახევი და ხულო; უკვე კარგა ხანია, რაც სამივე რაიონში ამოწურულია მიწის ფონდი, რითაც პრაქტიკულად, შეუძლებელია სოფლის მეურნეობისათვის ღირებული სავარგულების გაფართოება და ხალხის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ადვილი წარმოსადგენია, რა სიძნელეებს აწყდება ხალხი ასეთი რთული კლიმატისა და რელიეფის მქონე მხარეში, როცა ნორმალურ პირობებშიც კი 5—6 თვის განმავლობაში, ე. ი. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დამთავრების შემდეგ გაზაფხულამდე მუშახელი ფაქტიურად დაუსაქმებელია. ეს კი ძალზე სერიოზული, ზოგჯერ გადაუჭრელი სიძნელეების წინაშეც კი აყენებს ყველას. ამიტომ არც თუ დიდი ხნის წინათ დაწყებული მიგრაცია გრძელდება ბოლო დრომდე. ამიტომ საჭირო გახდა ოპტიმალური გზების გამონახვა, რათა საქართველოს — ამ ულამაზეს კუთხესაც არ გაეზიარებინა ხევსურეთის, თუშეთის, მთის რაჭის და სხვათა ბედი, ასეთ ვითარებაში უდიდესი როლი მიენიჭა არსებული რესურსების მაქსიმალურ გამოყენებას, ყველა რეზერვის ამოქმედებას და საჭირო მიმართულებით განვითარებას. სწორედ აქეთკენ აიღეს კურსი რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა და ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ყოველ ღონეს ხმარობენ ამ საკითხის დროული გადაჭრისათვის, როგორც ადგილობრივ ძალებზე დაყრდნობით, ასევე სხვა რაიონებისა და მთელი რესპუბლიკის ეკონომიკური და მორალური მხარდაჭერით.

არც თუ დიდი ხნის წინ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება აჭარის მთიანი რაიონების შემდგომი განვითარების შესახებ. ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტით, რომელიც უკვე მოქმედებაშია და რეალურადაც ისხამს ხორცს, დასახულია მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი, რითაც ძირიანად შეიცვლება მისი ეკონომიკა, ხალხის კულტურული და საყოფაცხოვრებო დონე. პირდაპირ ადგილზე ნედლეულის გადასამუშავებელი და სხვა სახის საწარმოების მშენებლობის გარდა, გათვალისწინებულია მთის ზონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაცია, მისი კონცენტრაცია, ცალკეული დარგების, როგორიცაა მეთამბაქოება, მეცხოველეობა, მევენახეობა და სხვა, საწარმოო ტიპის კოლმეურნე-



აჭარელი მოხუცები.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 8 (512). აგვისტო, 1979 წ

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1979 წ.

მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:
გულნარა ბახტაძე, თენგიზ გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ დემეტრაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, სერგო დურმიშიძე, დინარა ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, უჩა ჯაფარიძე.

კორექტორი ქეთევან წერეთელი

# მთიან აჭარაში



ეროვნული ბიბლიოთეკა

ობების შექმნა. ამ დადგენილებაში ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება გზების მშენებლობასაც. მალე დამთავრდება ახალციხე-ბათუმის მაგისტრალის მშენებლობა. ინტენსიურად მიმდინარეობს შიდასამეურნეო გზატკეცილების გაფართოება-კეთილმოწყობა, ხოლო ძნელად მისადგომ სოფლებში აშენდება ხაბაგირო გზები.

ასევე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მეცხოველეობას, რომელიც აჭარის ერთ-ერთი ძირითადი, მაგრამ დღემდე ზარალიანი დარგია.

თუ რა სიკეთის მოტანა შეუძლია ადგილზე ნებისმიერი სახის სამრეწველო საწარმოს გახსნას, კარგად ჩანს ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების ხულოს ფილიალის მაგალითზე.

საწარმო გაიხსნა 1968 წელს და ითვლის 400-მდე მუშა-მოსამსახურეს. უნდა ითქვას, რომ დღიდან დაარსებისა, საწარმო გადაჭარბებით ასრულებს გეგმიურ და ვალდებულებად ნაკისრ დავალებებს. მარტო გასულ 1978 წელს წარმოებულ იქნა 188 300 მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

ამ თავითვე უნდა აღინიშნოს, რომ თავისებური ამ საწარმოში მომუშავე ადამიანების საქმიანობა. მისი მუშები მოწინავე კოლმეურნეებიც არიან. მათ აბსოლუტურ უმრავლესობას გაპიროვნებული აქვთ მიწის ნაკვეთები, მოწინავეთა შორის პირველობას არავის უთმობს № 4 ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს ნ. ტუნაძე. ცალკეულ მუშებს შორის კი მართლაც რომ ბევრნი არიან, მაგრამ მათგან მაინც შეიძლება გამოვყოთ: მ. თავართქილაძე, გ. შანთაძე, ჟ. და მ. ცეცხლაძეები, ე. კოჩალაძე და სხვები.

საწარმო მნიშვნელოვან როლს ასრულებს რაიონის ეკონომიკაში არა მარტო იმ თვალსაზრისით, რომ გამოიძებნა საშუალება ხალხის დასასაქმებლად და მიგრაციის შესაჩერებლად, მან ამავე დროს ხელი შეუწყო მუშათა ეკონომიური და კულტურული დონის ამაღლებას. მიუხედავად ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებებისა შრომის ორგანიზაციაში, საწარმოს მეცნიერულ-ტექნიკურ აღჭურვაში, მარტო არსებობის ფაქტიც ყურადღების ღირსია, რადგან სწორედ ის იძლევა გასაღებს იმ რთული პრობლემების კომპლექსურ გადაჭრაში, რომლებიც დგას მთიანი რაიონების წინაშე. და თუ მაინც გვექნება საუბარი ნაკლოვანებებზე, ეს უპირველეს ყოვლისა, ნაკარნახევია კეთილი სურვილებით, ქართული ანდაზისა არ იყოს, „მოყვარეს პირში უძრახე“. „ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა, რომელიც ფილიალის წინაშე დგას, — თქვა ჩვენთან საუბარში ფილიალის დირექტორმა დ. ბოლქვაძემ, — ეს არის მუშაობა შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. ამ მხრივ ჩვენთან პირდაპირ საგანგაშო მდგომარეობაა: ავარიულ მდგომარეობაშია შენობა და დღემდის ვერ დაადგა საშველი ახლის მშენებლობას, რომლის ასაშენებელი თანხები რამდენიმე წლის წინ გამოიყო და გაჩერებულია მხოლოდ იმიტომ რომ... დღემდის ვერ გამოიყო მიწის ნაკვეთი, სადაც უნდა აშენდეს. რაც არ უნდა გულუბრყვილოდ მოეჩვენოს ეს ვინმეს, ფაქტი ფაქტად რჩება და მშენებლებს დღემდის „უკეთესი“ მიზეზი ვერ გამოუძებნიათ. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ფილიალის საყოფაცხოვრებო მომსახურების პირობებიც. საწარმოში, სადაც ცვლაში მუშაობს 120 კაცზე მეტი, სასადილო მხოლოდ 20 კაცს იტევს. საწარ-

შ. არობელიძის ფოტო.

ხულოს რაიონის სოფელ ოქტომბრის მოწინავე მევენახე ჰურიე ჯაყელი.





ბათუმის სამკერვალო გაერთიანების ხულოს ფილიალი. ოქტომბრის სამკერვალო საამქრო



ხულოს რაიონი. სოფ. ხიხაძირა. ახალგაზრდა კოლმეურნეები თამბაქოს სანერგეში.



ხულოს რაიონი. სოფ. სიყეთი. კომკავშირელები კარტოფილს რგავენ.

აჭარელი ბავშვები.



მოს არ გააჩნია არც ავტობუსი და არც რომელიმე სხვა სახის ტრანსპორტი მაშინ, როცა მუშამოსამსახურეების უმეტესი ნაწილი მახლობელი სოფლებიდან დადის. ზოგიერთი სოფელი დაშორებულია 7-8 კილომეტრით.

ასეთი მძიმე პირობების მიუხედავად, ხალხი მაინც თავდადებით შრომობს, გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს, უფრო მეტიც, მსგავსი საწარმოების გახსნას უკვე რამდენი წელია ითხოვენ სოფლების რიყეთის, დიოკნისის, ღორჯომის, დიდაჭარის, ხიხაძირის მშრომელები, საამისო პირობები კი უცილობლად არის.

## დედაენის სიყვარულით

ქედის რაიონში არის მთის ფერდობზე შეფენილი სოფელი ვაიო. ამ ბუნებითა და ხალხით მშვენიერ სოფლისათვის ეს სახელწოდება ამჟამად უცნაურიცაა, მაგრამ როცა იქაური მკვიდრნი ამის შესახებ მოგვითხრობენ, დარწმუნდები, რომ ისტორიული უკუღმართობის დროს ეს სახელი მისთვის შესაფერისად შეურქმევიათ.

...თურქები შემოსევიან აჭარას, ვაიოს მკვიდრნი ისე როგორც სხვა სოფლის მოსახლეობა, გაუწყვეტიათ. დაუნგრევიათ ეკლესიები, აუჩეხიათ ვენახები. დატყვევებულ ხალხს ძალად უარს აცხადებინებდნენ ქრისტიანობაზე, ხალხი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა მტერს. ზოგიც, ხელთ რომ არ ჩავარდნოდა მოძალადეს, ცოცხლად იმარხავდა თავს დარანებში. (შემორჩენილია წყევლა: „შავ დარანშიც წასულხარო") ასეთ ყოფაში დედაკაცები სულ „ვაის" და „უის" გაიძახდნენო. მის შემდეგ შერქმევია სოფელს: ვაიო.

ბუნებრივია, როგორც მთელი აჭარა, სოფელი ვაიოც დიდ ხანს იყო მოწყვეტილი დედა საქართველოს და ხალხის ზნე-ჩვეულებაც სხვა ერის ხასიათს ეგუებოდა. ის, რაც აჭარამ უცვლელად და შეუბღალავად გამოატარა მოძალადეთა ხელში, მშობლიური დედა ენაა.

...1923 წელს სოფ. ვაიოს მკვიდრთ აუხდათ დიდი ხნის ნანატრი; დედაენის სწავლებას შეუდგა უანგარო მამულიშვილი, დომენტი გორხელიძე, რომელსაც ამ კეთილი საქმის წამოწყებაში განსაკუთრებული დახმარება აღმოუჩინა დაუდ-ეფენდი მახაჭაძემ.

და ხალხიც დაეწაფა მშობლიურ ენაზე სწავლას, რამაც მათ გზა გაუკვალა ახალი ცხოვრებისაკენ.

გავიდნენ წლები, მოვიდა ახალი თაობა და ძველი სიკეთის ფესვზე იხარა ახალმა ნერგმა. კვლავ გამოჩნდნენ დიდი საქმის დიდებულად გამგრძელებლები.

თითქმის ოცდაათი წელიწადია, რაც საქ. სსრ დამსახურებული მასწავლებელი ემინე გორგილაძე ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის მშობლიურ კუთხეში.

ჯერ იყო და ემინემ ქედის პედაგოგიური ტექნიკუმი დაამთავრა, ხოლო ნიჭიერი ქალიშვილი 1960 წელს ჩარიცხულ იქნა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში. მაგრამ მშობლიური მწერლობის სიყვარულმა გადასძლია და საბუთები უკან გამოიტანა. შემდეგ მუშაობა დაიწყო სოფ. კოლოტაურების დაწყებით სკოლაში. რამდენიმე ხნის შემდეგ ემინე გორგილაძე უკვე სოფელ ვაიოს მკვიდრი გახდა და იქ შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ამ დროსვე სკოლისაგან მოუწყვეტლივ ამთავრებს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტს.

სკოლის პარტორგანიზაციის მდივანს და სასწავლო ნაწილის გამგეს, ემინე გორგილაძეს თავისი წარმატებების უპირველეს ხელშემწყობად თავისი მეგობრული კოლექტივი მიაჩნია. და მართლაც ისეთ ადამიანებთან მუშაობა, როგორც სკოლის დირექტორი ნიაზ ტეტემაძე, ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელი საადე ნიჟარაძე და სხვანი არიან, მუშაობა სახალისოც არის და იმედიანიც.

## ქალური ხელების მადლი

დილიდანვე გადაუღებლად წვიმს. კოლმეურნეობის კანტორაში საერთო ფუსფუსია. არ წყდება ტელეფონის ზარი. პატარა შენობაში სწრაფად ვრცელდება ახალი ამბავი. კოლმეურნეები ჯგუფ-ჯგუფად დამდგარან ეზოში და ერთმანეთს უზიარებენ ნახულსა თუ გაგონილს. რამდენიმე ნაბიჯზე კი ერთმანეთს აწყდებიან აჭარისწყლის აბორგებული ტალღები. ზვირთების ყრუ გუგუნს აქა-იქ შეერევა ხოლმე ერთმანეთზე მინარცხებული ლოდების მკვეთრი ხმა. სტიქია არ ცხრება: დაუმორჩილებელი მდინარე უდარდელად მოარწევს ძირიანად მოგლეჯილ ხეებს, უკვე გამზადებულ მორებს ორივე ნაპირზე გადმომდგარი ხალხი წამით თუ გაუსწორებს თვალს ამ უსიამო სურათს და თავჩაქინდრული თავისი გზით მიდის.

საშუალო ტანის სახეგარუჯულმა ქალმა აჩქარებით გამოიარა შიგა და-შიგ იატაკმორღვეული ხიდი და გეზი კანტორისკენ აიღო. შენობას რომ გაუსწორდა, გულმა ვერ მოუთმინა, მდინარის ნაპირზე მუხლებამდე წყალში ჩამდგარ ორკაპებით შეიარაღებულ პატარა ბიჭებთან მივიდა და რაღაც გადასძახა. ბიჭები უხალისოდ მობრუნდნენ ხელით იქვე გროვად დაყრილი, გაზინთული შეშისკენ გაიშვირეს და თავისი საქმე განაგრძეს. მანამდის არ მოეშვა ქალი, სანამ ნაპირს არ მიაცილა და სამშვიდობოს არ გამოიყვანა. იქაც ელაპარაკა რაღაცას და მაშინღა გამობრუნდა, როცა ბიჭები ფეხათრევით წავიდნენ სოფლისკენ. თავისდაუნებურად შერჩა მეხსიერებას ეს პატარა დეტალი, სხვის დასანახად და თავის გამოსაჩენად კი არა, გულის კარნახით და დედობრივი შიშით ჩადენილი მოქმედება იქნებ ზოგიერთმა ზედმეტ, უადგილო გულისხმიერებადაც ჩაუთვალოს, მაგრამ ყველაფერში ასეთიაო ვენერა დავითაძე, ირწმუნება სოფელი, ოჯახშიც და მინდორშიც, საკუთარ საქმეშიც და საზოგადოებაშიც.

ვენერა დავითაძე — ქედის რაიონის სოფელ ცხმორისის მეთამბაქოეა.

— გავიგე, სხვა სოფლებში სეტყვა ყოფილა, — ამბობს ვენერა, — სახლში ველარ გავჩერდი, ან რა გული მომითმენდა, ნათესები რომ არ მენახა.
— შორსაა აქედან? — არც ისე... აგერ ხევგაღმა. პატარა სარკმლიდან კარგად მოჩანს ხეობაზე გადამხობილი, ჯანღით თავწაკრული სერი. სერს რამდენიმე კილომეტრზე მიუყვება უთავბოლოდ ჩახლართული ბილიკი... იქით კი ტყეში ჩაკარგული ქადრაკის დაფასავით აჭრელებული ყანა.

— მგონი ამჯერად გადავრჩით — შვებით ამოისუნთქა ვენერამ — ჯერჯერობით სეტყვას და ნიაღვარს ჩვენი ნათესებისთვის ვერაფერი დაუკლია, თუმცა სხვა დროს არც იმას შევუშინებივართ.

მართლაც და რამდენი შრომა სჭირდება თამბაქოს... ის ერთ-ერთი ყველაზე მიზეზიანი კულტურაა, რომელსაც ერთდროულად სჭირდება სითბო და ტენი. სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საშუალოზე ოდნავ ძლიერმა წვიმამ შეიძლება ერთიანად ჩარეცხოს სანერგეში ნალოლიავები ჩითილიც და უკვე დამუშავებული, გაფხვიერებული მიწაც. ამიტომ ლაპარაკობს ვენერაც ასეთი სიყვარულით თავის თანამოსაქმეებზე, მათ მძიმე შრომაზე. ასეთები კი მის გვერდით ბევრნი არიან. თვითონ ვენერა დავითაძეს, სამი შვილის დედას და შესაშურ მეოჯახეს, სასახელო შრომითი ბიოგრაფია აქვს. მარტო გასული წლის შედეგებით რომ ვიმსჯელოთ, ესეც საკმარისი იქნება მისი, როგორც მშრომელის, დასახასიათებლად. 1978 წელს გაპიროვნებული ჰქონდა 1500 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი. გეგმით გათვალისწინებული 280 კილოგრამის ნაცვლად ჩააბარა 800 კილოგრამი თამბაქოს მშრალი ფოთოლი. წელს მაჩვენებლები უფრო გაიზრდება; მან იკისრა მოიწიოს თამბაქოს სარეკორდო მოსავალი — 870 კილოგრამი იმავე 1500 კვ. მეტრ მიწის ნაკვეთზე. საამისოდ კი ყველა ლონე იხმარა: მინერალური სასუქების შეტანა

იქნება ეს, თოხნა თუ სხვა ღონისძიებები. გარდა მასზე გაპიროვნებული მიწის ნაკვეთის დამუშავებისა, სხვა საზრუნავიც აქვს ვენერა დავითაძეს, როგორც რაიონული საბჭოს დეპუტატს და პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროს წევრს.

— ერთ-ერთი მტკივნეული საკითხი, რაც ჩვენთან და საერთოდ აჭარის მთიანი რაიონების მეთამბაქოების წინაშე დგას, — გვითხრა ვენერამ, — ეს არის უკვე შეტეხილი თამბაქოს ფოთლის გაშრობის საკითხი. ჩვენს კოლმეურნეობას არ აქვს საშრობი ფარდულები. სახლში კი თითქმის შეუძლებელია ამოდენა მასის გაშრობა, რადგან მას სჭირდება ფართობი, სითბო. თანაც მთის ჰავა ნესტიანია, ხშირია წვიმები, რაც აჩანგრძლივებს ამ პროცესს. ზოგჯერ ზამთრის პირამდე არ შრება ფოთოლი, მიმღები პუნქტები კი არ იბარებენ. ზამთრის თოვლსა და უგზოობაში გვიხდება მისი გადაზიდვა.

ამ მიმართულებით ქედის რაიონში დასახულია გარკვეული პრაქტიკული მიზნები. კერძოდ, ამ ზაფხულს მოძმე მოლდავეთს ეწვევა რაიონის დელეგაცია, რომელიც შეისწავლის მოლდაველ მეთამბაქოეთა გამოცდილებას, შეიძენენ თამბაქოს ელექტროსაშრობს, რომელიც შეცვლის 500-მდე პრიმიტულ ფარდულს.

ვენერა დავითაძემ კოლმეურნეობის გამგეობის წინაშე რამდენჯერმე აღძრა საკითხი სოფელში ბაგა-ბაღის გახსნის შესახებ. საყოველთაოდ ცნობილია რომ აჭარა მრავალშვილიანი დედების მხარეა და ასეთი დაწესებულებების მშენებლობა ყველას უპირველესი საზრუნავი უნდა გახდეს. ბაგა-ბაღი შეამსუბუქებს კოლმეურნეობაში დასაქმებული ქალების შრომას.

ვის ეცოდინება უკეთესად შრომის მადლი, შრომის სიკეთე, თუ არა სოციალისტურ შეჯიბრებაში მრავალგზის გამარჯვებულს ვენერა დავითაძეს. იცის ეს და ყოველნაირად ცდილობს ახალგაზრდობასაც ჩაუნერგოს ეს სიყვარული. აკი მიბაძეს კიდეც და უხვი მოსავლის მოყვანაში ტოლს არ უდებენ გუშინდელი ახალგაზრდები, მისი ზრუნვითა და გამოცდილებით დავაჟკაცებული თამარ დავითაძე და სხვები. ისინიც, როგორც მათი დამრიგებელი და მასწავლებელი, კისრულობენ ორ ხუთწლედში შეასრულონ სამი ხუთწლიანი გეგმა. მათ კი სიტყვის პატრონებად იცნობს ყველა.

ისევე, როგორც ვენერა დავითაძეს და სხვა მრავალ აჭარელ ქალს, ღირსეული შრომითი ბიოგრაფია აქვს შუახევის რ-ნის სოფ. ნენიას მკვიდრს, შრომის წითელი დროშის ორდენოსან ფატი ქამადაძეს. შრომითი საქმიანობა ფატი ქამადაძემ 1938 წელს დაიწყო, როდესაც მის სოფელში ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა. აქვე პირველი შევიდა იგი კომკავშირის რიგებში, ხოლო შემდგომ 1939-40 წლებში დაამთავრა ბათუმის 2 წლიანი პოლიტსაგანმანათლებლო კურსები.

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე, მთიანი აჭარის ბრძოლისუნარიანი მამაკაცები ფრონტზე წავიდნენ. ქალებისა და მოხუცების ანაბარა დარჩა სოფელი. იმ მძიმე წლებში ფატი ქამადაძე გაორკეცებული ძალითა და რწმენით შეუდგა მუშაობას. ერთდროულად მუშაობდა სოფლის მაღაზიაში და კოლმეურნეობაში ბრიგადირად. მაგრამ ყველაზე საამაყო და ძნელად გასახსენებელი ფატისათვის დღეს მაინც ის არის რომ მას იმ ავბედით დროს უხდებოდა ქალებისათვის და ბავშვებისათვის სამხედრო საქმის სწავლება.

ომის მძიმე წლებმა ჩაიარეს და ყველა ოჯახში მშვიდობამ დაისადგურა, მაგრამ ფატი ქამადაძეს არც ახლა მიუტოვებია შრომა, ამავე დროს უძღვებოდა სანიმუშო ოჯახს.

შრომის ვეტერანი ფატი ისევ ახალგაზრდული ენერგიით მუშაობს ახლაც. მისთვის გამოყოფილ 1400 კვ. მეტრ ფართობზე წელს ნაცვლად 800 კგ. თამბაქოსი, მოიწია 555 კგ. წლეულს გადაწყვეტილი აქვს ეს მაჩვენებელი აიყვანოს 600 კგ-მდე.

მეთამბაქოების გარდა, ფატი ქამადაძე, სოფლის მეურნეობის სხვა დარგებსაც ემსახურება. მესამე წელია რაც ახალი ვენახის ნაკვეთი ჩააბარეს. მართალია ჭერჭერობით მოსავლის მხოლოდ 30%-ს იღებს, მაგრამ სულ მალე გამრჯე ხელის წყალობით ნაყოფს სრულად გამოიღებს. ფატის არც ბოსტნეულის ჩაბარებაში შეურცხვენია თავი. გეგმით გათვალისწინებული 800 კილოგრამის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარა 900 კგ ბოსტნეული.

ასე რომ ფატი ქამადაძესაც, ბუნების ჭირვეულობისა და სიძნელეების მიუხედავად, თავისი წვლილი შეაქვს მთიანი აჭარის აღორძინების საერთო-სახალხო საქმეში.

## სოფლის მატიანე

მოხდა ისე, რომ მისი ნახვის იმედი უკვე გადაწყვეტილი გვქონდა. მთიანი აჭარისათვის იმ მძიმე დღეებში, როცა მთელი კვირის განმავლობაში გადაუღებლად წვიმდა და სეტყვამ დიდი ზიანი მიაყენა ნათესებს, საზაფხულო იალაღებზე ასულ მწყემსებს ასე უჭირდათ, მისი ნახვა არც თუ ისე ადვილი გამოდგა. მართალია მის კაიკაცობაზე ხელთ გვქონდა საკმაო ფაქტები, რომელთა შესახებ რაიონში განსაკუთრებული მოწონებით და ერთგვარი სიამაყითაც კი ლაპარაკობდნენ, მაგრამ საკუთარი თვალით ნახული მაინც სხვაა და აი რაიონული გაზეთის რედაქციაში შემოვიდა ხმელ-ხმელი მაღალი მამაკაცი, რედაქციის მუშაკებს შინაურულად მიესალმა, ეტყობა, არც თუ იშვიათი სტუმარია აქ. თითქოს საწადელს მიგვიხვდაო, რედაქტორი მ. ზოსიძე ღიმილით გვიხსნის:

— ბაბულია შაქირი ხშირად გვეწვევა ხოლმე. სოფლის გასაჭირზე და წარმატებებზე გვესაუბრება. ცუდიც და კარგიც ერთნაირად მიაქვს გულთან. ყურმოკრულსა და სხვისგან გაგონილს არასოდეს იჯერებს.

მოხუცი უხერხულად იშმუშნება და დაშაშრულ კანდამსკდარ ხელებს აწვალებს. მერე, როცა ჩვენი სტუმრობის მიზეზი გაიგო, წამით ჩაფიქრდა, ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი ყველას და მობოდიშე მასპინძელივით წარმოგვიდგინა თავი:

— აბაშიძე შაქირ მუხამედის ძე, უჩანბის სასოფლო საბჭოს სოფელი გოგაძეები, 70 წლის.

ეტყობა ასაკის გამო უნდობლობა შეგვატყო და დაბეჯითებით თქვა:

— 70 წლის, არც მეტი და არც ნაკლები.

საუბარს გოგაძეებისკენ მიმავალ გზაზე ვაგრძელებთ. დიდი წვიმების შემდეგ დღეს პირველად ჩაიბრუნა გული ამინდმა, ტყიანი სერები მონატრებულ მზეს მიფიცხებიან, მოდიდებული ღელეები კი ნერვიულად იჩქარიან ერთიმეორისკენ და უკვე ქვემოთ, ხევის პირებზე შეერთებულნი აჭარისწყალში იხრჩობენ თავს. მაგრამ მოხუცი სულაც არ ჩანს პოეტურ განწყობაზე. იგი დაუფარავი სევდით გაჰყურებს ტყეებს შორის მოქცეულ ახოებს და თავისთვის ბუტბუტებს:

— გადაუდებელი საქმე რომ არა, ახლა რომელი ჭკუათმყოფელი მიატოვებს სოფელს. რაც თავი მახსოვს, ასეთი ამბავი არც მე დამინახავს და არც ძველებისგან გამიგონია. ჰო, აჭარაში არავის სმენია ასეთი წყალდიდობა და ნიაღვრები. ჩვენს სოფელში თამბაქოს 90 პროცენტი განადგურდა, მაგრამ ბუნება მაინც უძლური აღმოჩნდა. ამ დღეებში ყველა ფეხზე დადგა. რომ იტყვიან, ქუდზე კაცი გამოვიდა: ხელმეორედ მოიხნა მიწა, დამუშავდა, გადაირგა თამბაქოს ახალი ჩითილები.

ბაბულია შაქირმა ხელი ხევგაღმა, უფსკრულზე გადმოკიდებული ტაფობისაკენ გაიშვირა. იქ უკვე ჯგუფ-ჯგუფად მუშაობდნენ, ცოტა ქვემოთ კი საცალფეხო ბილიკს სვენებ-სვენებით მოუყვებოდა ტომარაწამოკიდებული კაცი. გარეშე თვალისთვის განსაკუთრებული და თითქოს უჩვეულოა აჭარელი მშრომელი კაცის საქმიანობა, თავისებურმა

(გაგრძელება იხ. მე-18 გვ.)



ალექსანდრე პუშკინი

## კერნისადმი

უნეტარესი მახსოვს წამები,
როს მომევლინა სახით მწყაზარი;
ვით წამიერი ტურფა ზმანება,
ვით სილამაზის წმინდა ტაძარი.

ამაოების აურზაური
ოდეს ტანჯულ სულს სევდას მატებდა,
დიდხანს მესმოდა ხმა საამური,
მესიზმრებოდა შენი ხატება.

ჟამთა გრიგალებს თან გაჰყვენ დღენი
და წარიტაცეს ძველი ოცნება,
გადამავიწყეს ნაზი ხმა შენი,
ღვთიური სახის ეგ საოცრება.

ვიდოდნენ. წლები უსიხარულოდ
ჩემი განდევნის შავბნელ მხარეში,
უშთაგონებოდ უსიყვარულოდ,
სიცოცხლის, ღვთის და ცრემლის გარეშე.

ისევ ეწვია სულს განახლება,
კვლავ მომევლინა სახით მწყაზარი;
ვით წამიერი ტურფა ზმანება,
ვით სილამაზის წმინდა ტაძარი.

ისევ სიამით აძგერდა გული,
დღეს ისევ აღსდგა და ამობრწყინდა
ის შთაგონება, ის სიყვარული,
სიცოცხლე, ღმერთი და ცრემლი წმინდა.

თარგმნა ზურაბ ბაბუნიამ.

ალექსანდრე პუშკინის დაბადების 180 წლისთავი

ისტორიული ძეგლებისა და სხვა კულტურულ ღირებულებათა დაცვა-შენახვისათვის ზრუნვა საქართველოს სსრ მოქალაქეთა მოვალეობაა.

საქართველოს სსრ კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), მუხლი 66.

მრავალსაუკუნოვანი ქართული ხუროთმოძღვრება ოდითგანვე იქცევდა ყურადღებას. განუსაზღვრელად დიდია საქართველოს ისტორიული ძეგლების მნიშვნელობა, რამდენადაც ისინი შემოგვრჩენია ჩვენი წინაპრების ყოფაცხოვრების უტყუარ მატიანედ. ამ ხელთუქმნელი ძეგლების მეშვეობით ეცნობი ქვეყნის ისტორიას.

ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების, ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისა და მომხდურ ურდოთა რისხვის ქვაკუთხედს წარმოადგენდა ჩვენი ნიკორწმინდა და ვარძია, სიონი და უფლისციხე, ალავერდი და გრემი, მარტვილი და ნოქალაქევი... და რომელი ერთი უნდა დაასახელო იმ ეკლესია-მონასტერ-ციხეებიდან, რომლის წყალობითაც უძნელეს და ურთულეს პირობებში ერმა შეინარჩუნა თავისი რწმენა და თვითმყოფობა.

გვაოცებს საქართველოს ისტორიულ ძეგლთა სიმრავლე. ჩვენი სასიქადულო მკვლევარის ვახტანგ ბერიძის სიტყვებით რომ ვთქვათ: „საქართველოს მიწა-წყალზე მგონი არ მოიძებნება არც ერთი კუთხე, არც ერთი ხეობა და სოფელი, რომ წარსულის რაიმე ნაშთი არ იყოს დარჩენილი".

კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე — ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვა-პატრონობა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ერთ-ერთი აქტუალურ პრობლემად არის აღიარებული.

საბჭოთა კავშირის 1976-1980 წწ სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებებში, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეხუთე ყრილობის მიერ არის დამტკიცებული, ვკითხულობთ: „გავაუმჯობესოთ მუზეუმების მუშაობა, ისტორიული და კულტურული ძეგლების დაცვა და პროპაგანდა".

1976 წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული იქნა კანონი ისტორიული და კულტურის ძეგლების დაცვის შესახებ.

1978 წლის 24 თებერვალს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის 25 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად, მიიღო დადგენილება „საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

ამ დადგენილების საფუძველზე შეიქმნა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო, მისი სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანება, რომლის მიზანდასახულობას შეადგენს: ისტორიისა და კულტურის ძეგლების გამოვლინება-აღრიცხვა, ძეგლთა დაცვითი ზონების დადგენა, მათდამი სახელმწიფოებრივი დაცვის დაწესება და, რაც მთავარია, ძეგლების რესტავრაცია და კონსერვაცია.

წარმოუდგენელია ფიქსირება გაუკეთო და საუკუნეებს შემოუნახო ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლებისის თავისებურებანი, რაც თითოეულ მათგანს გააჩნია — თუ სრულყოფილად არ ფლობ ბუნებაში მიმდინარე ნაგებობათა ეროზიის მექანიზმს და არ გაგაჩნია მათ წინააღმდეგ ბრძოლის მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებათა ფართო არსენალი.

# შევუნახოთ შთამომავლობას

ბიოტური ეროზიის მაგალითი (მერია).



ბიოტური ეროზიის მაგალითი (ჩხოროწყუ. ოჯინდალი).



ეს ეროვნული და მეტად პასუხსაგები ამოცანა ეკისრება სპეციალურ სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანების სამეცნიერო-კვლევით ტექნიკურ ლაბორატორიას, სადაც გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს ისტორიული ძეგლების რესტავრაციისა და კონსერვაციის, ნაგებობათა ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლისა და სხვა აქტუალურ პრობლემათა მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებათა შესამუშავებლად.

როგორც ცნობილია, ბუნებაში მიმდინარე მექანიკური, ქიმიური თუ ფუნქციონალური პროცესების შედეგად ისტორიისა და კულტურის ძეგლების უდიდესი ნაწილი თვალსა და ხელს შუა გვეცლება. ძეგლების განადგურებაში სხვა გარემო ფაქტორებთან ერთად ერთ-ერთი ძირითადი და წამყვანი ადგილი ბიოტურ ეროზიას უკავია. ასე მაგალითად: ლიქენების, წყალმცენარეების, ერთი და მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეების დასახლების შედეგად ნიკორწმინდის ტაძრის უდიდესი ნაწილი დაშლას განიცდის.

მერქნის დამშლელი სოკოებით დასახლებისა და მწერებით დაზიანების შედეგად დავით კლდიაშვილის სახლმუზეუმი საჭიროებს სასწრაფო სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარებას.

როგორც ცნობილია, ისტორიულ ძეგლებზე მერქნიანი მცენარეების დასახლება ნაგებობის ექსპლუატაციაში შესვლის დღიდანვე არ ხდება. ამას გარკვეული, ხანგრძლივი დრო სჭირდება; დრო — ვიდრე მომზადდება წინაპირობა მცენარის თესლების აღმოცენების და მათი ზრდა-განვითარებისათვის. ამიტომ, მათ წინააღმდეგ ბრძოლა უნდა ტარდებოდეს ძეგლზე მცენარის დასახლებისთანავე, სანამდე ფესვთა სისტემა განვითარდება და მცენარე მომძლავრდება.

ერთი შეხედვით, ისტორიულ ძეგლებზე დასახლებული მცენარეები თითქოს არ უნდა წარმოადგენდეს ისეთ საშიშროებას, რომელზედაც ყურადღების გამახვილება ღირდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. ამაში დავრწმუნდებით თუ საფუძვლიანად გავაანალიზებთ იმ პროცესებს, რომელიც მიმდინარეობს ისტორიულ ძეგლებზე მცენარის დასახლებიდან ნაგებობათა ნგრევამდე.

ისტორიულ ძეგლებზე აღმოცენებული მცენარის ფესვებისა და მასთან დასახლებული მიკროზის წარმომქმნელი სოკოებისათვის ინერტული მასალა და მათი შემაკავშირებელი ნაშთი დაუძლეველ ბარიერს არ წარმოადგენს: შლიან რა მათ წვრილ ფრაქციებად, გზას იკაფავენ ნიადაგისაკენ. თავდაპირველად ისტორიულ ძეგლებზე დასახლებული მცენარეების ზრდა-განვითარება შეზღუდულია, რამდენადაც ისინი წყლისა და საკვები ნივთიერებების დეფიციტს განიცდიან. მაგრამ, რამდენადაც მცენარეებს გააჩნიათ გარემო არახელსაყრელ პირობებთან შეგუების თვისება, ისინი სძლევენ აღნიშნულ დეფიციტს. ფესვთა სისტემა მათთვის დამახასიათებელი დადებითი გეოტროპიზმის გამო, აღწევს რა გზაზე სამენი მასალის წყობის ბარიერს, უზრუნველყოფს ნიადაგში მცენარის ფესვების ჩამაგრებას. ნიადაგში მოხვედრილი ფესვები თავის თავს ეფლდება ინერტული მასალისა და სამშენებლო ნაშთის შემზღუდველი გარემოდან, იწყებს საკვები ნივთიერების ინტენსიურ მოპოვებას, რაც უზრუნველყოფს მცენარის სწრაფ შემატებას სიმაღლესა და დიამეტრში. ფესვების დიამეტრში მატების შედეგად წარმოიქმნება წნევა, რომელიც ნაგებობის კედლების დაბზარვას იწვევს. ბზარების წარმოქმნას ხელს უწყობს აგრეთვე მცენარის მასა და ამ მასაზე მოქმედი ქარის ძალა.

ძნელია საჟურნალო სტატიაში სრულყოფილად გადმოსცე ბიოტური ეროზიის მოქმედების მექანიზმი, რამდენადაც იგი აერთიანებს მრავალრიცხოვანი ფაქტორების რამს, მაგრამ, დამერწმუნებით, რომ მის მიერ გამოწვეული ზარალი აუნაზღაურებელია. და თუ ძეგლთა სიუხვის გამო სათანადო უწყებებს დოესლოებით ვერ ძალუძს ხელიდან გამოსტაცოს ბიოტური ეროზიის დამანგრეველ მოქმედებას ჩვენი ისტორიული ძეგლების გარკვეული ნაწილი, ჩვენ საქართველოს მოქალაქეებმა, ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია თავისი ერის ისტორიული ძეგლებისა და სხვა კულტურულ ღირებულებათა დაცვა — შენახვისათვის ზრუნვა, ქმედითი ღონისძიებები უნდა გავატაროთ, რათა თაობებს შემოუნახოთ ჩვენი მამა-პაპათა მიერ უხვად ნაბოძები ეს უზადო თვალმარგალიტები.

ნოდარ ცანავა,

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

ბიოტური ეროზიის მაგალითი (ვარძია, ორჯონიკიძის რ-ნი).



ბიოტური ეროზიის მაგალითი (გამოჩინებული).



## შჯერ-შჯერი ამბები

### უნიკალური ფრესკები

მოძმე ტაჯიკეთის არქეოლოგებმა ჩვენი წელთაღრიცხვით VIII საუკუნეში აღგვილი ქალაქის პენჯიკეთის ტერიტორიაზე გათხრების დროს უნიკალური ფრესკების მთელი სერია აღმოაჩინეს.

ხელოვნების ამ იშვიათ ნიმუშებს ახლა გულდასმით ეცნობიან და სწავლობენ სპეციალისტები.

### წყალუხვი მდინარე

გამართლდა ალმა-ათელი სწავლულების პროგნოზი: საბოლოოდ დადგინდა, რომ ყიზილყუმის უდაბნოს გრუნტში მოედინება გრძელი და წყალუხვი მდინარე.

ამ მდინარის სიგანე ზოგიერთ მონაკვეთზე 12 კილომეტრამდე აღწევს.

წყალუხვ მდინარეს მალე ფართოდ გამოიყენებენ სხვადასხვა დანიშნულებისათვის.

### 3 ათასი წელი

მოძმე სომხეთში ამას წინათ მიწის სამუშაოების შესრულების დროს აღმოაჩინეს ღვთაების გამოსახულების ბრინჯაოს პატარა ქანდაკება.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ქანდაკება ამიერკავკასიაში აქამდე არასოდეს არ ყოფილა მიკვლეული.

ნაპოვნის ხნოვანება 3 ათასი წელია.

### სრული ვარიანტი

ყირგიზეთის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტმა გამოსაცემად მოამზადა ხალხური ეპოსის „მანასის" სრული ტექსტი.

ეპოსის ეს ყველაზე სრული ვარიანტი ნახევარ მილიონამდე სტრიქონს შეიცავს.

### მსოფლიოში ერთადერთი

ბრიანსკის ოლქში ამას წინათ გაიხსნა მსოფლიოში ერთადერთი... კარტოფილის მუზეუმი.

ექსპონატები მოგვითხრობენ ამ კულტურის ისტორიას, მის გავრცელებას ჩვენს ქვეყანაში.

აღსანიშნავია, რომ ბრიანსკის ოლქს რსფს რესპუბლიკაში კარტოფილის კულტურის ყველაზე დიდი ფართობები — 12000 ჰექტარი უკავია.

### ახალი ფედერაცია

ჩვენს სამშობლოში შეიქმნა სსრ კავშირის კოსმონავტიკის ფედერაცია.

ფედერაციის დანიშნულებაა ხელი შეუწყოს კოსმოსური სამყაროს შესწავლასა და ათვისებას მშვიდობიანი მიზნებისთვის.

კოსმონავტიკის ფედერაციის ბიუროს თავმჯდომარედ არჩეულია სსრ კავშირის კოსმონავტი-მფრინავი ა. ფილიპჩენკო.

### საერთაშორისო ტრასა

გაიხსნა სატვირთო ავტომანქანების რეგულარული მოძრაობა ახალ საერთაშორისო ხაზზე — მოსკოვი—ვენა.

ამჟამად საბჭოთა კავშირისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნების ქალაქებს აერთებს თერთმეტი საავტომობილო ტრასა.

ვლადიმერ მაიაკოვსკი

## წერილი ტატიანა იაკოვლევას

(ფრაგმენტები)

თუ დაგიკოცნე ბაგეები
ან ნაზი ხელი,
თუ ჩემს ვნებებთან
მომიხდა შეხლა —
რესპუბლიკათა
მშობლიური
წითელი ფერი
უნდა აინთოს
მაშინვე ცეცხლად.
...მაღალი ტანით
მისწორდები
შენ ერთადერთი,
წარბი წარბს შეხვდეს,
დამიდექ გვერდით.
მინდა საღამო
შენთან ერთად ავახმიანო,
და მასზე მინდა
სიტყვა გითხრა, ადამიანო.
ხუთი საათი დაირეკა
და უკვე სდუმან.
ხალხის ხშირი ტყე
არ გუგუნებს
და არის ჩუმად,
ჩამოდგა ჟამი
მთელ ქალაქში ძალის მხლებელი,
მატარებლების ქშენა,
დავა გაისმის უმალ.
ბარსელონაში
სტვენით მიჰქრის მატარებელი.
...ეჭვიანობა
და ცოლები, ცრემლები...
კმარა!
ქუთუთოები დასივდა და
ცრემლს ველარ უძლებს.
განა მე ახლა ვეჭვიანობ,
არა და არა,
ეს სიყვარული ეგებება
საბჭოთა რუსეთს.
მინახავს, მხრებზე არა ერთი
მოჩანდა ბებკი,
მათ ამოსუნთქვით
საშინელი ჰლექი ლოკავდა.
ბრალი არ გვიდევს ჩვენ ამაში
და რაღა გვეთქმის —
მთელ ას მილიონს
გაჭირვება მძიმედ ბორკავდა.
...შენც კარგად იცი,
რა მძიმე გზა გამოვიარეთ, —
თან თოვლში, ტიფში
ვაბიჯებდით გრძელი ფეხებით,
ნავთობის მეფე
ვახშამის ჟამს არ მოვა, არა.
მოსაფერებლად
მაგ შენს ფეხებს არ შეეხება.
მაშ, რას დაფიქრდი —
თვალის ჰუტვა კი ადვილია,
თან სწორ რკალებად
ეგ წარბები ჩანს გახელებით.
მოდი, ხომ ხედავ,
ჯვარედინად გადაგიშლია
ვეებერთელა და უხეში ჩემი ხელები.
არა გსურს? დარჩი,
გაატარე შენ აქ ზამთარი,
საერთო ჯამში ამ წყენასაც
ალვნიშნავთ მკვეთრად.
მაინც წაგიყვან,
ამისათვის გული მზად არის.
წაგიყვან მარტო,
ანდა თვითონ პარიზთან ერთად.

თარგმნა ჰასილ ლაფერაშვილმა.

კარლო ტაბატაძე

# მამის ნაჭერი

ნოველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანდრო გურგენიძე გაშოტილი იწვა ლოგინზე და თეთრად შეფეთქილი ჭერისათვის მიეპყრო თვალი, იქვე სკამზე ჩამომჯდარიყო მისი ცოლი და ფიქრებში წასული ერთ წერტილს მიშტერებოდა. გაიარეს უძილო, ტკივილებითა და ტანჯვა-წამებით სავსე ღამეებმა. კოდეინისა და მორფისაგან დასიებული სანდრო დიდხანს წელში ვერ იმართებოდა და თავს მაღლა ვერ სწევდა, ახლა, მადლობა ღმერთს, ყველაფერი უკან დარჩა, ექიმმა წამოდგომის უფლება მისცა, მხოლოდ ესაა, მარჯვენა ფეხს ჯერ კიდევ ვერა გრძნობს და თუ ილლიაში ყავარჯენი არ შეიყენა, წონასწორობას ვერ იცავს, იატაკი ფეხიდან ეცლება და ჭერი გემბანივით ირწევა. სანდრო ხშირად მისჩერებია ფანჯარას, საიდანაც თეთრად გადაპენტილი გარე სამყარო იმზირება. საოცარია, არასოდეს არ ჰქონია ასეთი შეგრძნება, არასოდეს უფიქრია სამყაროს სახრულლობაზე, მითუმეტეს არ უფიქრია საწუთროს ავ-კარგზე. დღეები შრომა-ჯაფაში გადიოდა. დალლილ-დაქანცულს დასვენებისათვის არ ეცალა. თუმცა ამ ილაჯგაწყვეტას ვერა გრძნობდა, დღეები ისე საოცრად სწრაფად მიჰქროდა. ერთ დღეს კი, თითქოს დაოთხილი ცხენები შეჩერდნენო, თითქოს შეწყდა შეცილება დროისა, ყველაფერმა უცებ იყუჩა, იყუჩა და რძისფერ ნისლსა და სიცარიელეში ჩაიძირა...

ფანჯრიდან თბოცენტრალის მაღალი მილი მოჩანდა; მილიდან ქულა ღრუბლებივით ამოდიოდა თეთრი კვამლი და შეჭირვულ ცის ფონზე წვებოდა. საოცარი იყო ეს სურათიც; ვიდრე სანდრო მილს დაინახავდა, კვამლის ეს დინება ღრუბელთა მოძრაობა ეგონა და გატაცებული მისჩერებოდა ფთილათა გაშლა-გადაადგილებას. მაგრამ საკმარისი იყო თავი ოდნავ აეწია, რომ საკვამლე მილი გამოჩენილიყო, სურათი იცვლებოდა და სანდროს ჯანგატეხილ სხეულს სევდა ეუფლებოდა. იგი თავს დაბლა სწევდა, რაც შეიძლება დაბლა, მილი რომ არ გამოჩენილიყო, შეგრძნება შეგონების ტოლფასი ყოფილიყო. ამ დროს მას თავისი სოფელი აგონდებოდა, მთებს შორის მოქცეული კოპწია იმერული სოფელი. ვითომ ისევ ის პატარა ბიჭი იყო, ფეხშიშველა საქონელს რომ დასდევდა... წარსულის ეს ტკბილი სიზმარეული წარმოსახვები ოპერაციის შემდეგ დასჩემდა; როცა გათანგული პალატაში შეაგორეს, მან ფანჯრიდან შემომავალ სივრცეს შეავლო თვალი, შესუდრულ ზეცაზე გაწოლილი თეთრი ღრუბლები აღიქვა და ნარკოზით გაბრუებულს, თავისი სოფელი და ბავშვობა ფერადი კინოკადრებივით ამოუტივტივდა, თვალები მილულა და ნათელმხილველივით მოგონებებს მიჰყვა...

— ჩაეძინა! — თქვა ექთანმა.

... პატარა სანდრიკა ხის აივანზე იწვა და სივრცეს გასცქეროდა, რომელიც აგერ, სულ ახლოს, ზვიადი მთებით იზღუდებოდა. სანდრიკას ოდასახლს ქვემოთ ვენახის ბოლოში გზა მიიკლაკნებოდა, გზა ქვევით და ქვევით ხევში მიდიოდა, ხან ორღობეში უჩინარდებოდა, ხან ტყეში და ხანაც მინდორზე წვებოდა, მერე ქვევით ხევში პატარა მდინარე ჯონჯოურაზე ხის მორყეული ბოგით გადიოდა და კვლავ აღმართს მუხლმოუღლელად ცქვიტად მიუყვებოდა. ახლა გზა თანდათან მაღლდებოდა და ტყით შესუდრულ მთებში იკარგებოდა. სანდრიკა ოცნებობდა, სულ ამ გზას გაჰყოლოდა, გადაევლო ცხრა მთა და ენახა, რა ხდებოდა მთებს იქით... ერთხელ სოფელში გეოლოგები მოვიდნენ, ზურგჩანთები ჰქონდათ მოკიდებული და ხელში წერაქვები ეჭირათ; ახლაც კარგად ახსოვს სანდროს მათი სახეები, ერთი სულ ახალგაზრდა იყო, ლამის სანდრიკას კბილა, ერთიც — ხანში შესული, დარბაისელი კაცი. სანდრიკა მათ მეგზურად გაჰყვა, დიდხანს დადიოდნენ ტყე-ღრეში. გეოლოგები ლოდებს უკაკუნებდნენ, ქვებს ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ; ოო, ეს საინტერესოა! იტყოდნენ ხოლმე ხშირად და ქვის ნამტვრევებს ზურგჩანთაში ყრიდნენ.

სანდრომ თვალი გაახილა, ღრუბლებად მოლანდებულ კვამლს თვალი შეავლო, ამოიოხრა და კვლავ თვალი მილულა. ის ორი გეოლოგი ულიმოდა. მათ სახეებს გარკვევით ხედავდა სანდრო, იდგნენ და ილიმებოდნენ, ხოლო ახალგაზრდა გეოლოგს მხარზე ხელი გადაეხვია და მინერალების შესახებ ებაასებოდა... ტკივილმა დაამსხვრია მოგონებათა ეკრანი, სატანამ ზურგში, ნაიარევზე დაჰკრა, კიდურები შეუტოკა და უხილავმა დინებამ თითის ფრჩხილებამდე გაკვესა. მერე ისევ მილაგდნენ აშლილი ტკივილები, ახლა მამა გამოეცხადა სანდროს, მოხუცებული მამა კოჭლობით მოდიოდა და ილიმებოდა, სანდროს არ საყვედურობდა, არც რაიმეს ეუბნებოდა, ჩვეულებისამებრ მიჩლატუნობდა და ილიმებოდა...

სანდრო როგორც კი დავაჟკაცდა, ცხრა მთა გადაიარა და უცნობ, მაგრამ საოცნებო სამყაროს შეერია. უკიდეგანო სტეპი და გაუვალი ტაიგა გახდა სანდრო გურგენიძის სამოქმედო ასპარეზი, აბგააკიდებული გაჰყვა დიდ გზას, გადაიარა ერთი უნაპირო მდინარე, მერე — მეორე, მესამე...

ყინვა ორმოცდახუთ გრადუსს აღწევდა; ბურღი ზუზუნებდა და ციბრუტივით ტრიალებდა; გეოლოგები მთელი წლის შრომა-წვალებით მიღებულ შედეგს იმედის თვალით შესცქეროდნენ. კიდევ რამდენიმე მეტრი და ბურღი სასურველ ქანს მიაღწევს. სხვაზე აღარაფერზე ფიქრობდნენ, სხვა მათთვის არა არსებობდა რა, და მოხდა გაუთვალისწინებელი ამბავი, სანდრომ შეყვირებაც კი ვერ მოასწრო, უცებ ჩამობნელდა და დადუმდა ყოველივე... როცა თვალი გაახილა, ვერტმფრენში იწვა, თავზე თეთრხალათიანები ადგნენ, სანდრომ წამოწევა დააპირა, ხრიალი აღმოხდა მკერდიდან, მიწვა და ტკივილებს მინებდა...

— მორფი! — წაიჩურჩულა ექიმმა.

...პატარა სანდრიკას სიხარულს საზღვარი არა აქვს. ამდენი სოკო. ვარყა. მიქლიო და წიფელა ერთად არასოდეს უნახავს. ხითხითებს და ხელებს შლის... დედის ხმა ესმის. დედა ულიმის, ულიმის და თავზე ხელს უსვამს... მოდიან. შორიახლოს დგებიან და სანდროს ულიმიან. ხმას არ იღებენ. დგანან და ილიმებიან. აი, შვილებიც მოვიდნენ, ხელს უქნევენ მამას: იქვე. ჯირკოზე სხდებიან, თუჯიიდან ფაფას მიირთმევენ, ისე. როგორც ერთ დროს. პატარა სანდრიკა და ილიმებიან... აი. მამაც კოჭლობით მოდის, ილიმება და დიდი კალათა მარწყვით თუ ველური ხილითაა სავსე... სანდრიკა ხითხითებს, ხითხითებს და ლურჯ ზეცას გასცქერის, რომელზედაც თეთრი ღრუბლები ქარავანივით მიედინებიან...

სანდრო გურგენიძემ ფანჯარას გახედა, ღრუბლებად ალთქმული თეთრი კვამლი გაწოლილიყო ცაზე.

რა უცებ ალსრულდება ადამიანი, ნუთუ ასე უბრალოდ და შემთხვევით შეიძლება გამოაკლდე ქვეყანას?!. იყო, შრომობდა, ილწვოდა, ტრაგიკულმა შემთხვევამ კი... სანდრომ ფეხის განძრევა სცადა, ტკივილები აღარ ჰქონდა, მაგრამ მარჯვენა ფეხი ჩვარივით ეკიდა, ბოლმა მოაწვა და ყელში რაღაც გაეჩხირა, თვალზე ცრემლი მოადგა.

— ჩურჩუტო, ჩვენზე იფიქრე! — ჩურჩულებს სიყვარულით ცოლი და ლოყაზე ხელს უსვამს.

გამარჯვება ბიჭებმა საავადმყოფოში მიულოცეს, ნავთმა შადრევანივით ამოხეთქაო, ჩვენი ვარაუდი გამართლდა, ყველას ძალიან გვიხარიაო. თუმცა, ეს სასიხარულო ამბავი, უფრო ადრე, გაზეთიდან გაიგო, მაშინ უკვე სანდრო გურგენიძე ობნისკის საავადმყოფოში იწვა. მკურნალი ექიმი ყურადღებას არ აკლებდა, ანუგეშებდა და აღუთქვამდა: ძველებურად, გამართული ივლიო. სანდრო გაოცებული შესცქეროდა უამრავ სამედიცინო აპარატურას — ეს დიაგნოსტიკიო, ეს სამკურნალოო; შესცქეროდა და უკვირდა, რამდენი რამ სჭირდება ადამიანის მკურნალობასო. ყველაზე საოცარი ანგეოგრაფიული გამოკვლევა იყო, სანდრო ჩვეულებისამებრ გამოაგორეს პალატიდან და შემინული გრძელი დერეფნით სადიაგნოსტიკო განყოფილებაში გადაიყვანეს; აქ, ანგეოლოგიის კაბინეტში უკვე ემზადებოდნენ თეთრხალათიანები. დედიშობილა სანდრო საოპერაციო მაგიდაზე დააწვინეს, ზევიდან მაგიდას რენტგენის აპარატი დასცქეროდა, კაბინეტში სხვა უმრავი პრიალა აპარატიც იდგა და ელექტროკლავიშები ერთმანეთში გველებივით გადახლართულიყვნენ.

— დავიწყეთ! — თქვა პროფესორმა.

თეთრხალათიანები აპარატურასთან დადგნენ, აზუზუნდა რენტგენის დანადგარი. სანდრომ თავი მარცხნივ გადააბრუნა და გაოცებული მიაჩერდა ტელეეკრანს, სადაც მისი გულისა და ფილტვების გამოსახულებანი „ფართხალებდნენ“.

— ერთი პატარა ბწკენა! — თქვა მთავარმა ექიმმა.

მერე გაიგო სანდრომ, ბარძაყის სახსარში არტერია გაუხსნიათ და გულამდე კათეტერი შეუყვანიათ. ეკრანზე კი ხედავდა, გულთან რაღაც შავი ჭიასავით რომ მიცოცავდა, მაგრამ აბა, რას წარმოიდგენდა თუ ეს კათეტერი იყო. გამოკვლევამ ორ საათს გასტანა; უკანვე რომ მოაგორეს პალატაში, დაოსებულ სანდროს ძილი ერეოდა, თვალი მოავლო მეზობელ საწოლებს, მერე ფანჯრიდან ზეცას გახედა, „ისევ თოვს“, — გაუელვა და ის იყო ჩათვლიმა, პალატაში ექთანი შემოვიდა, ხელში გაუხსნელი კონვერტი ეჭირა.

ერთი თვის წინ ძმამ ჩამოაკითხა სანდროს, შეშფოთებული იყო, თუმცა არ იმჩნევდა, მხნედ და მხიარულად გამოიყურებოდა, არა უშავს, ძმაო, მალე ფეხზე დაგაყენებთ, ისე იქნები, როგორც ჩიტიო. ვინც კი გაიგო, ყველანი მოკითხვას გითვლიან, მამისთვის არ გაგვიგებინებია, ხომ იცი, მოხუცებულია, იჯავრებს; აი, კარგად რომ გახდები, მაშინ კი ერთად ავიდეთ სოფელში, ჩვენს ცივ წყაროსთან პურ-მარილი გავშალოთ და მტერ-მოყვარე გავახაროთო.

— გურგენიძე, თქვენთან წერილია! — უთხრა ექთანმა.

მამის წერილი აღმოჩნდა. სანდრო ისე აღელდა, თავი ძლივს გადაუხია კონვერტს, ოდნავ რომ დამშვიდდა, თვალი ერთხელ კიდევ გადაავლო ნაცნობ ხელნაწერს და კითხვას შეუდგა.

„გამარჯობა, შვილო სანდრო! შენი ამბავი ძალიან გვიან გავიგე, იფიქრეს, ალბათ, მოხუცებულია, საიმქვეყნოდ გამზადებული, და ვინ იცის, დარდით რა მოუვაო. მე კი შენი დამტვრევის ამბავი რომ გავიგე, გულმაგრად შევხვდი. სახლიკაცები მომჩერებოდნენ და, ალბათ, უკვირდათ, რამ აახუნტრუცა ეს კოწია ასეთი სამწუხარო ამბის გაგების შემდეგო; მე კი, აი, რა დამემართა, შვილო, ჩვენ მარჯვენა ფეხით კოჭლობა მემკვიდრეობით გვარგუნა ღმერთმა, ძალიან შორს არ წავალ და აგერ, ბაბუაჩემით, კაციათი დავიწყებ, ის მე ძალიან კარგად მახსოვს, მარჯვენა ფეხით კოჭლობდა; ორმოცი წლისა იყო თურმე თურქეთთან ომი რომ დაიწყო, კაცია ყარსთან იბრძოდა. დედა უტირეს თურმე თურქებს, რაც გულისჯავრი ჰქონდათ, ერთად იყარეს, მაგრამ იმ ბრძოლაში ბაბუაჩემი დაიჭრა და სამუდამოდ დაკოჭლდა მარჯვენა ფეხით. მერე იყო და პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, მაშინ მამაჩემს ერგო კენჭი და სალდათად გაიწვიეს, ორმოცი წლისა იყო თურმე ისიც მარჯვენა ფეხში რომ დაიჭრა, შინ დაკოჭლებული დაბრუნდა, მანაც დიდხანს იცოცხლა, შვილო, შენც კარგად გახსოვს, ოთხმოცდათხუთმეტისა გარდაიცვალა. ახლა, ჩემს ამბავს მოგიყვები, თუმცა, შენც კარგად იცი, დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო,მე უკვე წითელი არმიის ოფიცერი ვიყავი; ომში პირველი ნათლობა კავკასიონთან მივიღე, მერე ჩემი ბატალიონით სტალინგრადთან ვიბრძოდი, იქვე დავიჭერი ნაღმის ნამსხვრევით და სამუდამოდ დავკოჭლდი მარჯვენა ფეხით, მეც მაშინ ორმოცი წლისა ვიყავ!

არ იფიქრო, თითქოს ცრუ რწმენა მქონდეს, ან რაიმე სასწაულებისა და წინათგრძნობისა მჯეროდეს, მაგრამ შენ რომ ორმოცი წელი გისრულდებოდა, მე საგონებელში ჩავვარდი, ასე მეგონა, აგერ ახლა დაიწყება ომი, სანდროს ჯარში გაიწვევენ და ისიც დაკოჭლდება-მეთქი. შენს დაკოჭლებას იმდენად კი არ ვჯავრობდი, შვილო, რამდენადაც იმას, რომ ახლანდელი ომი კარგს არაფერს მოუტანს კაცობრიობას. ნიადაგ ტელევიზორს არ ვშორდებოდი, გაზეთებსაც გამუდმეჩით ვკითხულობდი; სადაც კი იარაღი გაუღარუნდებოდა, ასე მეგონა ომი დაიწყო-მეთქი... არაფერი იჯავრო, შვილო, დღევანდელი მედიცინა ისეთი ტექნიკითაა შეიარაღებული, შენ არაფერს გაგიჭირვებენ, ასეც გავიგე, სულ ციმციმ, ჯერ ვერტმფრენით და მერე თვითმფრინავით ჩამოუფრენიხართ მოსკოვში. ჩვენს დროს, და განსაკუთრებით ბაბუაჩემის დროს, სად იყო ასეთი ტექნიკა, კაციას თურმე ბალახებით მკურნალობდნენ, მამაჩემი რომ დაბრუნდა, კიდევ დიდხანს დასჭირდა თურმანიძის მალამო. მე კი ოპერაციას რომ მიკეთებდნენ, ორჯერ დაბომბეს ფაშისტებმა საველე ჰოსპიტალი, მიუხედავად ამისა, ფეხი მაინც შემინარჩუნეს ექიმებმა. ახლა არა მიჭირს რა, ვენახს და ყანას კი ვუვლი, ტყეშიც დავდივარ, წისქვილშიც...“

სანდრო გურგენიძეს გაეღიმა, ერთხანს ასე გარინდული იწვა, მერე ფანჯარას გახედა, თოვლის ფიფქში არეული ღამის ბინდი ფანჯრის მინებს მოსდგომოდა და შუქის ჩაქრობას ელოდებოდა, რომ პალატაშიც დაესადგურა.

# ლექსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გურამ კლდიაშვილი

### ისევ...

ჩემი იმედი
ახლა წვიმაა,
რადგან ყოველთვის
შენს თავს მახსენებს;
ის სატანჯველიც
ისევ წინაა,
შენგან რომ მელის
და არ მასვენებს...
ო, როგორ წვიმდა
იმ დღეს თბილისში,
არასდროს მახსოვს
თავსხმა ისეთი;
წვიმის წვეთების
გაბმულ ტირილში
მე განშორების
გლოვას ვისმენდი...
მაშინდელივით
დღესაც წვიმაა,
მაგრამ შენს გვერდით —
აღარ მასველებს;
ის სატანჯველიც
ისევ წინაა,
შენგან რომ მელის
და არ მასვენებს...

* * *

შენ ალბათ ადრეც იყავი ურჩი
და ეს სიკერპე ჩემამდე მოგყვა...
მე შენს სიყვარულს თუ გადავურჩი,
შენი წარბების სიშავე მომკლავს.

დაგინახავ და გავხდები მუნჯი,
ამელეწება სირცხვილით ლოყა,
მე შენს სიყვარულს თუ გადავურჩი,
შენი ტუჩების სიწითლე მომკლავს.

ამდენი ფიქრით მომძულდა თავი,
შენ არ გეტყობა ფიორი განცდაც,
შენ თვალები გაქვს ისეთი შავი,
რომ ეს საღამოც თეთრია მასთან.

## ვლადიმერ გელაშვილი

### ექიმი

დარეჯან კახიძეს

შენ გულს უხვდები მძიმე სატკივარს
და უსმენ... უსმენ ჩაფიქრებული,
ეძებ და აკვლევ ჯანს რაც აკლია,
ოდნავ შემკრთალი — გაფითრებული.

ყველა ტკივილი შენი გგონია
და სნეულებას ბრძოლაში იწვევ,
მშვიდად ვერ უმზერ სხვის აგონიას,
გსურს, ხანძარს ცოდნის ჩქერებით მისწვდე.

შენ ათას ჭირთან ომში ხარ მართლაც,
ავს წააწყდები და არ დაინდობ,
იმედად დგახარ სიცოცხლის კართან,
შენ, თეთრხალათა ნაზო რაინდო!

ყველაფერი მობეზრდა სტეფანეს. მობეზრდა უცხო და „ურჯულო“ ქვეყანა, სადაც ხმის გამცემი არავინ ჰყავდა. მობეზრდა უსაქმურობა და მოუთმენელი მოლოდინი. მართალია კარგად მიიღეს სეფიანთა ირანში კაზაკთა ელჩი და შეძლებისდაგვარად ართობდნენ, მაგრამ სტეფანეს გართობისათვის არა სცხელოდა, დიპლომატიური დავალებით იყო გამოგზავნილი. ისიც აღელვებდა კაზაკს, ვაითუ იმერეთში დარჩენილმა თანამებრძოლებმა დალუპულად ჩამთვალონ, რადგანაც დავყოვნდი და შინისაკენ უჩემოდ გაბრუნდნენო. ერთი სიტყვით, მობეზრდა გაჭიანურებული სტუმრობა ყიზილბაშთა საბრძანებელში და გადაწყვიტა, სეფიანთა ხელმწიფეს თავი უნდა შევახსენოო. ერთ მშვენიერ დღეს გზაზე დაუხვდა შაჰ-აბასს და არზა მიართვა. ხელმწიფემ შეაჩერა ცხენი, აიღო ხელში არზა, მაგრამ ზედ არც დაუხედავს, ეტყობა, მიხვდა მის შინაარსს, მერე ახლოს მიიხმო თავისი კარისკაცები და ჩვეულებისამებრ ხმამაღლა წარმოთქვა: „თქვენ არ უწყით, ვინ არის ეს კაცი. თქვენ არ უწყით, რაოდენ მამაცია მისი ხალხი! ესენი არიან, შავ ზღვაზე რომ ბატონობენ, მრავალი ქალაქი რომ დაარბიეს და აურაცხელი ზარალი მიაყენეს ოსმალეთს. მათ ძალუძთ გაგვიწიონ დიდი სამსახური. მე მსურს მათი სამსახური!“.

შაჰმა ბრძანება გასცა, კაზაკთა ელჩს ღვინო არ მოაკლოთ და ჯიბის ფულიც უწყალობეთო.

1618 წლის გაზაფხული იდგა...

სტეფანეს თავგადასავალს გვამცნობს გამოჩენილი იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა ვალე, რომელიც იმავე ხანებში იმყოფებოდა სეფიანთა ირანში. მისი ვიზიტის უმთავრეს მიზანს შეადგენდა ანტიოსმალური კოალიციის შექმნა. იტალიელი მოგზაური სწორედ „ბრწყინვალე პორტას“ მიიჩნევდა მთელი საქრისტიანოს უპირველეს მტრად და განუწყვეტლივ ებადებოდა გონებაში მომხიბლავი პროექტები, რომელთა ხორცშესხმა ღონეს წაართმევდა ოსმალეთის იმპერიას და შვებას მოუტანდა დასავლურ სამყაროს. ახლა დღის წესრიგში იდგა სეფიანთა ირანის შეკავშირება დნეპრის კაზაკებთან!

დელა ვალეს საგანგებოდ შეუსწავლია კაზაკთა ვინაობა, მათი ადათ-წესები და საბრძოლო საქმენი. ყოველივე ამას დაწვრილებით გადმოგვცემს თავისი თხზულების ფურცლებზე.

# კაზაკები

კაზაკთა ადგილსამყოფელი იყო მდინარე დნეპრის შესართავი. ისინი არ ემორჩილებოდნენ არც ერთ ხელმწიფეს. ცხოვრობდნენ ქალაქებიდან მოშორებით, მიუვალ ადგილებში და თავს ირჩენდნენ ბრძოლაში მოხვეჭილი ნადავლით. კაზაკები განუწყვეტლივ მეკობრეობდნენ ხმელეთსა თუ ზღვაზე და საგრძნობ ზიანს აყენებდნენ ოსმალებსა და ყირიმელ თათრებს. კაზაკებს გამოცდილი მეზღვაურნი ჰყავდათ და მათი ხომალდები თამამად მიაპობდნენ შავი ზღვის ტალღებს. სადაც კი წააწყდებოდნენ ოსმალებს, ძარცვავდნენ და მუსრს ავლებდნენ. ნახევარი ევროპის მბრძანებელი ოსმალები, კაზაკთა შიშით, ვეღარ ბედავდნენ ზაფხულობით ზღვაოსნობას შავ ზღვაზე. კაზაკები ხშირად ხმელეთსაც მიადგებოდნენ ხოლმე და იქაურობას პირწმინდად აჩანაგებდნენ. შავი ზღვის სანაპიროზე თითქმის აღარ მოიპოვებოდა ოსმალთა თუ ყირიმელ თათართა სამფლობელო, აოხრებას რომ გადარჩენოდა. ერთხელაც გალაღებულმა კაზაკებმა გადაწვეს ორი ნავმისადგომი ოსმალეთის სატახტო ქალაქის მიდამოებში და ენით აუწერელი პანიკა გამოიწვიეს ხონთქრის კარზე. კაზაკები იმუქრებოდნენ, ცოტა გვაცალეთ და სტამბოლსაც ავიღებთ, ჩვენში ასეთი წინასწარმეტყველება გაგვიგონია და უნდა აღვასრულოთო. მალიმალ იგზავნებოდა სტამბოლიდან სამხედრო ხომალდები კაზაკთა წინააღმდეგ, მაგრამ ოსმალნი სამარცხვინოდ მარცხდებოდნენ საზღვაო ბრძოლაში. უკვე ოცდაათი წელიწადი გრძელდებოდა კაზაკთა თარეში შავ ზღვაზე და ოსმალთა გასაჭირს ბოლო არ უჩანდა.

დელა ვალე აღნიშნავს, რომ პოლონეთის მეფე, ბატონ-პატრონი იმ მიწებისა, სადაც კაზაკები ბინადრობდნენ, მიუხედავად ოსმალეთთან მშვიდობიანი ურთიერთობისა, მფარველობდა კაზაკებს და ფულად დახმარებასაც უწევდა. როდესაც ოსმალეთის მთავრობა საჩივარს წარუდგენდა კაზაკთა თარეშის გამო, პოლონეთის მეფე თავაზიანად მოიბოდიშებდა და თავს იმართლებდა, კაზაკები არავის ემორჩილებიან და არ ძალმიძს მათი დასჯაო; თუ თქვენ გაუსწორდებით, ხმას არ ამოვიღებო.

ამრიგად, აღმოსავლეთში არსებობდა ორი ანგარიშგასაწევი ძალა, მუდმივად რომ ემუქრებოდა ოსმალეთის სამფლობელოებს. დელა ვალეს ვარაუდით, ირანის შაჰს, ცხადია, ხელს აძლევდა კაზაკთა მოკავშირეობა ოსმალეთთან ომში და კაზაკებისთვისაც ურიგო არ იქნებოდა მხარდაჭერა ესოდენ დიდი ხელმწიფისა, რომელიც თუმცა მაჰმადიანი იყო, მაგრამ ოსმალეთი თავისი ქვეყნის დაუძინებელ მტრად მიაჩნდა და ძალ-ღონეს არ იშურებდა მასთან საომრად.

დელა ვალეს გეგმის მიხედვით, კაზაკებსა და ირანს შორის დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია საქართველოს ეკისრებოდა. კაზაკებს თავის პლაცდარმად უნდა გადაექციათ ოდიშისა და გურიის ზღვისპირა ტერიტორია, ხოლო შემდგომში ყიზილბაშთა დახმარებით დაეჭირათ ტრაპიზონი და მისი მიდამოები.

შაჰ-აბასს ჭკუაში დაუჯდა პიეტროს პროექტი და ისიც უკვე აპირებდა გამგზავრებას კაზაკებთან მოსალაპარაკებლად, როდესაც მოხდა უცნაური რამ. თითქოს მისი გულისნადები გამოიცნეს, კაზაკებმა დაასწრეს პირველი ნაბიჯის გადადგმა და იტალიელი მოგზაურის სათქმელი თვითონ თქვეს. ელჩად გამოგზავნილი სტეფანეს პირით ისინი მოუწოდებდნენ შაჰ-აბასს ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში შეკავშირებას.

მიზეზთა და მიზეზთა გამო მოლაპარაკება გაჭიანურდა და სანამ სტეფანე უქმად ატარებდა დროს სეფიანთა სამეფო კარზე, იმერეთში დარჩენილ მის თანამებრძოლთ საშინელი განსაცდელი დაატყდათ თავს. ოსმალთა კატეგორიული მოთხოვნით, იმერეთის მეფე იძულებული გახდა მათთვის გადაეცა ორმოცი კაზაკი (შემდგომში კაზაკებმა მოახერხეს ტყვეობიდან გაქცევა).

იტალიელი მოგზაური ნაღვლიანად შენიშნავს, რომ მართლაც ძნელია ყოფნა გრდემლსა და უროს შორის (გულისხმობს ოსმალეთსა და ირანს). მისი სიტყვით, იმერეთის მეფე ერთსაც და მეორესაც თავს აჩვენებდა მეგობრად, მაგრამ გულით არც ერთს არ ენდობოდა და ყოველთვის იმაზე ზრუნავდა, რომ მათი ჯარი არ შეეშვა თავის სამფლობელოში.

მოგვიანებით დელა ვალესათვის ცნობილი შეიქნა ერთი ამბავი, რომელიც მას მიაჩნია კაზაკთა უიღბლობის მიზეზად. თურმე ჯერ კიდევ სტეფანეს გამოჩენამდე, იტალიელი მოგზაურის პროექტით მოხიბლულ შაჰ-აბასს წერილი გაუგზავნია პოლონეთის მეფის სახელზე, რომელშიც შემდეგი წინადადებანი წამოუყენებია: ირანი თავის ხარჯზე ააგებდა ერთ ციხე-სიმაგრეს შავი ზღვის რომელიმე ნავსადგურთან, ტრაპიზონის მეზობლად მდებარე გურიის სამთავროში, შიგ ჩააყენებდა ყიზილბაშთა გარნიზონს, რომელიც პოლონეთის მეფის განკარგულებაში იქნებოდა, შემდგომში ეს ციხე-სიმაგრე გადაეცემოდა კაზაკებს. გარდა ამისა, დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები დაემორჩილებოდა პოლონეთს, ხოლო საქართველოსა თუ ირანში მცხოვრები ყველა ქრისტიანი ქართველი — კათოლიკურ ეკლესიას.

შაჰ-აბასმა ზემოთქმული გააცნო ქართველ ელჩებსა და დიდებულებს დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებიდან. პიეტრო დელა ვალე წერს, რომ ქრისტიანული სარწმუნოების ქართველებისათვის ერთმორწმუნე პოლონეთის სამეფოს ფარგლებში მოქცევა დიახაც სასარგებლო იქნებოდა მაჰმადიანური აგრესიისაგან თავის დასაცავად და იქვე დასძენს: „მაგრამ ისინი დამოუკიდებელნი არიან და ჰყავთ თავიანთი კანონიერი მეფე-მთავრები. ამიტომაც არ ეპაშნიკებათ დაექვემდებარონ უცხოელებს (თუნდაც ერთმორწმუნეთ), რაც ყველა ხალხში აღშფოთებასა და ზიზღს იწვევს“.

თუმცა იტალიელი მოგზაური არაფერს ამბობს ამის შესახებ, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ მომხდარ ამბავში თეიმურაზ პირველის ხელი არ ერიოს. სამშობლოდან გადახვეწილი კახეთის მეფე ცხადია, მოწონებით ვერ შეეგებებოდა ანტიოსმალური კოალიციის შექმნის გეგმებს, როდესაც მთელი მისი მოღვაწეობა იმ ხანებში ანტიყიზილბაშური კოალიციის შექმნას ემსახურებოდა.

დელა ვალეს ცნობით კაზაკების ელჩი სტეფანე სეფიანთა სამეფო კარს ეწვია 1618 წლის მარტში. როგორც ჩანს, სტეფანეს თანამებრძოლთა დატყვევება უნდა მომხდარიყო ერთი-ორი თვის შემდეგ.

სწორედ 1618 წლის მაისში ოსმალეთის მრავალრიცხოვანი ლაშქარი ჰალილ-ფაშას სარდლობით ირანისაკენ დაიძრა. ოსმალთა სარდალს ნაბრძანები ჰქონდა აგრეთვე თბილისის აღება და თეიმურაზის აღდგენა სამეფო ტახტზე. უცხოური წყაროების მიხედვით, ამ ლაშქრობაში მონაწილეობდა სამი ათასი ქართველი მხედარი თვით თეიმურაზის წინამძღოლობით.

მაშასადამე, როდესაც სტეფანე შაჰის პასუხს ელოდება და პიეტრო გატაცებით აწყობს ანტიოსმალური კოალიციის შექმნის გეგმებს, თეიმურაზი ოსმალთა მხარდამხარ იბრძვის ყიზილბაშთა წინააღმდეგ...

ასე ჩაიფუშა პიეტრო დელა ვალეს პროექტი. კაზაკებსა და ირანს შორის დამაკავშირებელი რგოლი გაწყდა. ქართველები ვერ ამოუდგებოდნენ მხარში შაჰ-აბასს, რომელიც მოსპობით ემუქრებოდა საქართველოს.

რაც შეეხება კაზაკებს, მიუხედავად სამწუხარო ინციდენტისა, ისინი საშვილიშვილოდ როდი გადამკიდებიან ქართველებს. დელა ვალე 1621 წლით დათარიღებულ წერილში აღნიშნავს, რომ კაზაკები განაგრძობდნენ ნაოსნობას საქართველოს სანაპიროებთან, კვლავ მეგობრობდნენ და ემოყვრებოდნენ კიდევაც ქართველებს. მისივე ცნობით, პოლონეთის მეფემ საჩუქრებით დატვირთული ორი თუ სამი ხომალდი გამოუგზავნა თეიმურაზს, რომელიც ოსმალეთის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა გონიოში და ელოდა მარჯვე მომენტს, რომ ისევ აებრიალებინა აჯანყებისა და ბრძოლის ცეცხლი ყიზილბაშთა მიერ დაპყრობილ ქართლ-კახეთში.

თამაზ ნატროშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

გორი. გამარჯვების მონუმენტი.

მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი,
არქიტექტორი ვახტანგ დავითაია
ედუარდ ბიბილაშვილი.

# ვახტანგ ჯაფარიძე



სვანეთი.



გრემი.



ღვინის ქარხანა.

ნატურმორტი.





ენგურჰესის მშენებლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოთი დიდი სამამულო ომის წლებში
დაღუპულ მეომართა დიდების მემორიალი

მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი.
არქიტექტორი ვახტანგ დავითაია
ედუარდ გიგილაშვილის ფოტო.

# მოგონებათა ფურცლები

**კოლაუ ნადირაძე**

მინდა მოვიგონო ქუთაისის წარსული, განსაკუთრებით ის წლები, როცა იქ მძაფრი და მწველი ლიტერატურული ბრძოლები მიმდინარეობდა.

ეს ქალაქი ჩემს მეხსიერებაში ისევ ცოცხლობს იმ თავისებურებით, რომელიც მხოლოდ მას გააჩნია და აროდეს განმეორდება.

ქუთაისი! აქ დადიოდა უგვირგვინო მეფე — დიდი აკაკი, თითქოს ოლიმპიდან ჩამოსული ზევსი. მორიდებით და ღიმილით ეგებებოდნენ მას ბავშვები. დიდები მოკრძალებით და უდიდესი პატივისცემით ჩერდებოდნენ, რომ მისთვის სალამი მიეცათ. ვიგონებ ქუჩაში ერთად მოსეირნე აკაკის და ვაჟა-ფშაველას, მათ ერთად გამოსვლას ქუთაისის თეატრში, მათ მიერ ლექსების კითხვას, მათ ხმას!

ბედნიერებას მგვრის ეს მოგონება ახლა, მაგრამ რა რიგ სავალალოა, რა რიგ მტკივნეული, რომ აროდეს მინახავს ილია!..

ქუთაისის იმდროინდელ ცხოვრებას ამშვენებდნენ აგრეთვე ჩვენი თაყვანსაცემი მწერლები: დავით კლდიაშვილი და ნიკო ლორთქიფანიძე.

ახლა მინდა მოგითხროთ უფრო ახლო პერიოდზე.

## 1916 წლიდან 1920 წლამდე

1916 წლიდან ჩვენ, პოეტები, ხშირად ვიკრიბებოდით ერთმანეთთან. თითქმის ყველა ჩვენგანის სახლი იმპროვიზირებულ „სალონს" წარმოადგენდა. ვსაუბრობდით ლიტერატურული, ფილოსოფიური, მხატვრული შემოქმედების საკითხებზე, იყო კამათი, ახალი ლექსებისა და პროზაულ ნაწარმოებთა კითხვა, სხვადასხვა — მშობლიურ თუ უცხოელ მწერალთა შემოქმედების გარჩევა, მათი შეფასება. ვიკრიბებოდით უმეტეს შემთხვევაში ჩემთან, პაოლო იაშვილთან, ვალერიან გაფრინდაშვილთან, სანდრო ცირეკიძესთან, დია ჩიანელთან და ზოგჯერ ჩვენს უფროს მეგობართან — ბატონ ნიკო ლორთქიფანიძესთანაც.

მაგონდება ერთი შეკრება დია ჩიანელთან, ჯერ კიდევ უცოლშვილო მწერალთან. ეს, თუ არ ვცდები, 1919 წელს მოხდა: ტიციან ტაბიძემ და სანდრო ცირეკიძემ დასვეს საკითხი ქართული ლიტერატურული მუზეუმის დაარსების შესახებ. სერიოზულად დავინტერესდით. ვალერიან გაფრინდაშვილმა, დია ჩიანელმა და რამდენადაც მახსოვს, სერგო კლდიაშვილმა საჭიროდ მიიჩნიეს ასეთი მუზეუმის ქუთაისში დაარსება. ამ ჯერ არ არსებული მუზეუმის ხელმძღვანელად ტიციანი გვინდოდა; მაგრამ უმრავლესობამ კატეგორიულად მოითხოვა, მუზეუმი თბილისში დაარსებულიყო. მუზეუმის დაარსება ჩვენ ვერ შევძელით, მაგრამ საინტერესოა, რომ ამ იდეის (1929 წელს) განხორციელების შემდეგ, თბილისში, ლიტერატურული მუზეუმის პირველი დირექტორი ტიციან ტაბიძე იყო.

არ შემიძლია არ მოვიგონო, თუ როგორ გვიყვარდა დია ჩიანელის სახლში შეკრება. გარდა დიას სტუმართმოყვარე, გულწრფელი მეგობრობისა, ჩვენ გვიზიდავდა მისი ეზო, დამშვენებული მეტად ლამაზი მაგნოლიის ხით, რომლის დიდი თეთრი ყვავილები სურნელებას აფრქვევდნენ ირგვლივ. გვიზიდავდა დიას ბინის მომხიბლავი აივანი — იგი ამაყად გადაჰყურებდა რიონის მშფოთვარე, ძლიერ ტალღებს, მათ თეთრ ქაფად ქცეულ ჩქერებს. ეს ჩქერები თავისი ხმაურით თითქოს უგალობდნენ ჩვენს სუფრას ამ აივანზე გაშლილს, ზოგჯერ, ეგების არც ისე მდიდრულს, მაგრამ ჩვენი ძმობით მდიდარს და გამთბარს, ჩვენი ახალგაზრდული ჟინით, მეგობრობით, პოეზიით და სიყვარულით აჟღერებულს.

ამ მქუხარე ჩქერების ქვევით რიონი უცებ ღრმავდება და ტორტმანით მიედინება „თეთრი ხიდის" ქვეშ. აქ, ამ ხიდიდან და ხიდის მარცხნივ მაღალი სახლის სახურავიდან მიყვარდა ჩემს საყვარელ რიონში ხტომა... შესაძლოა გადმოვმხტარიყავი ამ ხიდიდან ახლაც, მაგრამ უკვე აღარ შემშვენის, გვიანღა არის, ერთობ გვიან! ყოველივე ეს, შეერთებული დიას ოჯახის სითბოსთან, პოეზიასთან, ახალგაზრდობასთან და გულწრფელ მეგობრობასთან ჩვენ ბედნიერებას გვანიჭებდა!



სხედან (მარცხნიდან): დია ჩიანელი (ჩხეიძე), მიხეილ ჯავახიშვილი, ვანო ძაძამიძე. დგანან (მარცხნიდან): კოლაუ ნადირაძე, შარუხ ჩარკვიანი.

ამგვარადვე დაუვიწყარი მოსაგონარია პაოლო იაშვილის ოჯახი. პაოლოს მამა ჯიბრაელი (ჯიბო) და მისი მრავალშვილიანი მეუღლე, პაოლოს დედა, ქალბატონი ბაბილინა, მისი ოჯახის სიდარბაისლე, მასპინძლობა, მშობლიური მზრუნველობა ჩვენზე, ჯერ ქუთაისში, შემდეგ კი (ხშირად) ნეტარი დღეები და ღამეები მათ სოფელ არგვეთში გატარებული!

„ბევრი სხვაც ახსოვს ჩემს ბიჭობასა,
მაგრამ სად არის ახლა ის ლხენა?!".

## 1934 წელი

საკმაოდ დიდმა დრომ გაგვთიშა მე და ჩემი მშობლიური ქუთაისი. მამის გარდაცვალებისა და ჩემი მეგობრების საცხოვრებლად თბილისში გადმოსვლის შემდეგ, ქუთაისში დარჩენას აზრი უკვე აღარ ჰქონდა. ერთ დღეს ქუთაისში წასვლა გადავწყვიტე: მომენატრა ეს ქალაქი; მომენატრენ ქუთაისში დარჩენილი მონადირე მეგობრები; მომენატრა ჩემი ძვირფასი მეგობრის ლევან მიზანდარის (ცნობილი მოქანდაკის ვალერიან მიზანდარის მამას) ნახვა და მასთან ერთად ტყის ქათმებზე სანადიროდ წასვლა.

ლევანი მშვენიერი მონადირე და განსაკუთრებით საყვარელი ადამიანი გახლდათ. იგი ჩემზე ბევრად ხნიერი იყო (მამაჩემთანაც ნადირობდა). ჩვენი დამეგობრება კი ხშირმა ერთად ნადირობამ განაპირობა. შემდეგში ჩვენმა მეგობრობამ რაღაც შთამომავლობითი სახე მიიღო და დაუვიწყარი ლევანის გარდაცვალების შემდეგ ეს მეგობრობა გაგრძელდა ჩემსა და მის ვაჟს — ვალერიანს შორის.

მწერალთა კავშირში წაველ საგზურ-მივლინების მისაღებად; მწერალთა კავშირის ბაღში მიხეილ ჯავახიშვილს შევხვდი. მან მოულოდნელად მაცნობა, რომ ისიც წასვლას ქუთაისში აპირებს და დიდი ხანია სურს ისტორიული ადგილებისა და ძეგლების დათვალიერება. მთხოვა, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა, ერთად გვემოგზაურა. რა თქმა უნდა, სიხარულით დავთანხმდი. თანაც ხუმრობით დავძინე, რომ ძლიერ მოხარული ვიქნებოდი, თუ ბატონი მიხეილი ჩემთან ერთად ტყის ქათმებზე სანადიროდაც წამოვიდოდა. ეს ხუმრობა მას არ დავიწყებია და ხშირად მეკითხებოდა: ხომ არ წავიდეთ ტყის ქათმებზე სანადიროთო.

ორი, თუ სამი დღის შემდეგ ქუთაისში აღმოვჩნდით; ქუთაისი წყნარი, უქარო ამინდით მოგვეგება; მოგვეგება მაჭრით, ყურძნის მტევნებით, უნაბით, ზღაპრული წითელი სოკოთი (ნიყვით), შესანიშნავი ღელვებით და გაკრიალებული უღრუბლო ცით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი ქართველი მფრინავი ქალი ნინო ხუბულავა

პირველი ქართველი მფრინავი ქალი ნინო ხუბულავა დიდი ოქტომბრის ერთ-ერთი თანატოლი და პირმშოა. იგი ცხაკაიას რაიონის სოფელ ეკში დაიბადა. ნინო ადრე დაობლდა. უდედმამოდ დარჩენილი ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი ბებიისა და კეთილი მეზობლების დახმარებით გაიზარდნენ. მალე ნინოს უფროსი ძმა ვალერიანი ბატაისკის საავიაციო სკოლაში შეიყვანეს, ნინო კი თბილისში ჩამოიყვანეს და კამოს სახელობის საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელში მიაბარეს. აქ ნინომ ბეჯითი სწავლითა და სათნო ხასიათით ყველას ყურადღება მიიპყრო. ნინო ხუბულავას ღვიძლი დასავით დაუმეგობრდა და დიდი დახმარება გაუწია თბილისელმა თანატოლმა ქალიშვილმა ქრისტინე მკერვალიძემ. „ნინოს, — იგონებს ქრისტინე. მკერვალიძე, — სწავლა სწყუროდა. მზად ვიყავი შეძლებისდაგვარად ყოველგვარი დახმარება აღმომეჩინა. ჩემი პატარა ბინა გავუზიარე, გულთბილად მივიღე ეს პატარა, სიცოცხლით სავსე ცქვიტი გოგონა".

ქრისტინე მკერვალიძე ერთ-ერთი ადამიანია, რომელმაც ნინოს შესახებ მოგონება დაგვიტოვა. მოდით, მივყვეთ ამ მოგონებას: „ნინოს კომკავშირის ფორმით უყვარდა სიარული. ხაკისფერი ბლუზა ეცვა, მხრებზე და წელზე ტყავის სარტყელი ერტყა, თმა ბიჭურად ჰქონდა შეკრეჭილი. ქალურად რომ მოირთვებოდა, თვალს ვერ მოსწყვეტდა ადამიანი ამ ჭრელთვალება კეკლუც გოგონას. ნინო კარგი ფიზკულტურელი იყო. შესანიშნავად თამაშობდა ხელბურთს. როცა ნინომ აეროკლუბში გადაწყვიტა სწავლა, თავის გულისნადები პირველად მე გამიმხილა. მთხოვა, აეროკლუბში უფროსებთან გავყოლოდი, მირჩია, შენც ჩაეწერეო. მე უარი ვუთხარი, ვერ წარმომიდგენია ქალმა თვითმფრინავი როგორ უნდა აითვისოს-მეთქი. ნინო ჯიუტი იყო, თავისი გაიტანა. ამ გადაწყვეტილების სიმტკიცე ალბათ იმითაც აიხსნება, რომ უდროოდ დაღუპულ მფრინავ ძმას ფიცი მისცა, მეც შენსავით მფრინავი გავხდებიო. ნინოს აეროკლუბში გავყევი და იქიდან რომ ვბრუნდებოდით, მაშინ მითხრა ეს ამბავი"...

ნინო აეროკლუბში ჩაირიცხა და გამოცდილ მფრინავ-ინსტრუქტორ გრიგოლ გაგოშიძესთან მოხვდა. ისევე როგორც ქარხანაში, სადაც ერთი წლის შემდეგ უკვე ოსტატად დააწინაურეს, აეროკლუბშიც ნინო ყველას უყვარდა.

თბილისის აეროკლუბმა 1934 წლის მარტში მფრინავების სკოლა გახსნა, სადაც სხვადასხვა ფაბრიკებიდან მიიღეს მუშები, რომლებსაც წარმოებისაგან მოუწყვეტლივ უნდა შეესწავლათ თვითმფრინავის მართვა.

კურსანტებს სკოლაში დახვდათ გამოცდილი და მცოდნე ენთუზიასტები ნ. ჯიბლაძე, გრ. გაგოშიძე, კ. ალასანია, მ. გოგრიჭიანი და სხვები. ესენი იყვნენ აეროკლუბის ხელმძღვანელები, ინსტრუქტორები, საბჭოთა თვითმფრინავებთან შეზრდილნი, თავისი საქმის პატრიოტები.

1 სექტემბრიდან კურსანტები რუსთავის აეროდრომზე პრაქტიკული მეცადინეობისათვის ბანაკად გავიდნენ. 12 ოქტომბერს უკანასკნელი გამოცდა იყო. თვითმფრინავზე ახალგაზრდა მორცხვი გოგონა დაჯდა, აგუგუნდა მოტორი და თვითმფრინავი მოწყდა მიწას. ეს პირველი ქართველი მფრინავი გოგონა ნინო ხუბულავა გახლდათ.

1935 წლის თებერვალში მოხდა მუშა-მფრინავების საზეიმო გამოშვება. ამ ნაკადში სამი ქალიშვილი იყო ნინო ხუბულავა, მაგუშა სირტლანოვა (შემდეგში ცნობილი სამხედრო მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი) და ანა პროცენკო (შემდეგში ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის მომღერალი).

იმის ნათელსაყოფად თუ როგორ შეასრულა ნინომ პირველი დამოუკიდებელი ფრენა, გაზეთ „კომუნისტს" მივმართოთ: „დიდი ოსტატობითა და სიზუსტით, „ფრიადზე" შეასრულა ნ. ხუბულავამ პილოტაჟის უმაღლესი ფორმები და თვითმფრინავი ზუსტად გამიზნულ წერტილში დასვა".

სასტუმროში, ბატონ მიხეილის სანახავად, მისთვის ყოველგვარი დახმარების გასაწევად მოვიდა პარტიის ქუთაისის ქალაქკომის მუშაკი ვანო ძაძამიძე, ფრიად სიმპატიური, თვალსაჩინო და კულტურული ახალგაზრდა; მას თან მოჰყვენ საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების მდივანი დია ჩიანელი, ბონდო კეშელავა, დავით გაჩეჩილაძე, მამია ასათიანი, ლადო ასათიანი, შარუხ ჩარკვიანი. საოცრად გულთბილი შეხვედრა იყო. დია ჩიანელი (უკვე ცოლშვილიანი) სახლში გვეპატიჟება. უფრო ახლოს ვეცნობით ახალგაზრდა, დამწყებ პოეტებს, რომელთაც, როგორც ჩანს. დიდ მეგობრულ დახმარებას უწევენ ვანო ძაძამიძე და დია ჩიანელი.

პირადად ჩემთვის დიას ნახვა მეტად სასიხარულო იყო: გახსენება საკმაოდ შორი წარსულის, ჩვენი საერთო მეგობრების, დაკარგული ამხანაგების მოგონება, გახსენება იმ დღეებისა და წლების, როცა ჩვენ უერთმანეთოდ ვერ ვძლებდით, ბედნიერნი ვიყავით!..

...და აი, თოთხმეტი წლის განშორების შემდეგ, ისევ ვუახლოვდები დაუვიწყარ ადგილს! ისევ ის სურნელოვანი, ულამაზესი მაგნოლიის ხე, ისევ ის სახლი, ისევ ის, რიონის ჩქერების ხმაურით ამღერებული აივანი, რომელსაც ახლა უკვე დიას მეუღლის, ქალბატონ ფაციას სათნო, კეთილი ღიმილი და ბავშვთა წკრიალა ხმები ამშვენებენ. ისევ პოეზიით, მეგობრობით და სიყვარულითაა შემკული იმ საოცნებო აივანზე გაშლილი სუფრა. დია თამადაა. მღელვარე სადღეგრძელოები. მიხეილ ჯავახიშვილი მიესალმება და ქებათა ქებას ასხამს ლიხთიქითურ მხარეს, რომელმაც აკაკი წერეთელი, ცოტნე დადიანი წარმოშვა.

ორი დღის შემდეგ ვანო ძაძამიძემ მანქანით აგვიყვანა გელათის ტაძრის სანახავად. იქიდან ჩამოსვლის და ბაგრატის ტაძრის ნანგრევების დათვალიერების შემდეგ გადავწყვიტეთ სათაფლიის გვირაბისა და დინოზავრთა ნაკვალევის ნახვა, მაგრამ ვიდრე სათაფლიისაკენ გავემგზავრებოდით (იქ უკვე გველოდებოდა პეტრე ჭაბუკიანი გვირაბის მახლობლად) გადავწყვიტეთ სურათის გადაღება, რომელსაც აქ პირველად ვაქვეყნებთ.

ერთ დღეს, ჩემს არქივში ვნახე ეს გადარჩენილი და გადანახული სურათი, რომელმაც, წამიერ, ჩემი წარსული გამახსენა და გამიცოცხლა.

ორმოცდახუთმა წელმა განვლო ამ სურათის გადაღების შემდეგ; ღმერთო, რა დიდი დრო გასულა!



# დაე მუდამ იყოს მზე!



აეროკლუბის წარმატებით დამთავრების შემდეგ ნინომ ფართო აგიტაცია გააჩაღა იგი მეზობლებს, ამხანაგებსა და ყველას ურჩევდა, აეროკლუბში ჩაეწერეთო. ამიტომაც იყო, რომ მას გაზეთების რედაქციებში ხშირად იწვევდნენ.

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქცია ნინოს დაპირდა, რომ იგი მკითხველთა შორის დაიწყებდა სახსრების შეგროვებას პირველი ქართველი მფრინავი ქალისათვის თვითმფრინავის ასაგებად.

ნინომ მონაწილეობა მიიღო სააგიტაციო ფრენებში, რომელშიც მონაწილეობდნენ ნ. ჯიბლაძე, ინჟინერი ნიკურაძე, გრ. გაგოშიძე და ნ. ხუბულავა. „სახეს, — იგონებს ვეტერანი მფრინავი გრ. გაგოშიძე, — მე ვმართავდი (ნინოს თვითმფრინავი „უ-2" ატარებდა ამიერკავკასიის ბოლშევიკების სახელს) დაფრენის შემდეგ ნინო აეროდრომის თავზე რამდენიმე წრეს აკეთებდა ჰაერში და სიტყვით გამოდიოდა მაყურებლების წინაშე, მოუწოდებდა ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, ჩაწერილიყვნენ აეროკლუბებში. ეს ტანმორჩილი გოგონა მაყურებელზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

„ჩემი სააგიტაციო გადაფრენის მიზანია, — წერდა ნ. ხუბულავა, — ჩავუნერგო ავიაციის სიყვარული საქართველოს ახალგაზრდებს, განსაკუთრებით ქალებს. ხელი შევუწყო საქართველოში ეროვნული კადრების მომზადებას"...

„მახსოვს. — იგონებს ქ. მკერვალიძე, — ნინო სიხარულით ანთებული შემოიჭრა ოთახში და მახარა საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში ვიყავი, დამაჯილდოვეს და დამპირდნენ, ფრენაში დაოსტატების შემდეგ უფლებას მოგცემთ საქართველოს ფარგლებს გარეთაც ნახონ ჩვენი სიამაყე, პირველი ქართველი მფრინავი გოგონაო".

ბევრი რამ გააკეთა ნინომ საავიაციო სპორტში, მაგრამ კიდევ ბევრი რამ განუხორციელებელი ოცნება დარჩა...

ტრაგიკულად დაღუპულ სახელოვან მფრინავ ქალს ქართველი ხალხი დიდი გულისტკივილით გამოეთხოვა. დაკრძალვის ხარჯები სახელმწიფომ გაიღო. მისი ხანმოკლე, მაგრამ ნაყოფიერი საქმიანობის ნიშნად საფლავზე მფრინავის ფრთა აღმართეს.

მერი როდე-ჩიჯავაძე



საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის აეროკლუბის საფრენოსნო სკოლის პირველი გამოშვება (1935 წ.). მარცხნიდან: ანა პროცენკო, ნინო ხუბულავა და მაგუშა სირტლანოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა







- პაატა წიკლაური თავისი ნამუშევრებით.
- ლადო გუდიაშვილი ათვალიერებს პატარა მხატვრის ნამუშევრებს.
- „დაე, მუდამ იყოს მზე!"
- ნორჩ მხატვართა გამოფენაზე.

„პაატა წიკლაური უშუალობითა და მდიდარი მხატვრული ფანტაზიით გადმოგვცემს თანამედროვე ცხოვრების ამსახველ სურათებს — მკვეთრი, მდიდარი და საზეიმო განწყობილების ნათელ კოლორიტს" — აი, ასე შეაფასა სპეციალისტთა ჟიურიმ ნორჩი მხატვრის მიერ კონკურსზე წარმოდგენილი ნახატები.

თბილისის 128-ე საშუალო სკოლის მე-5 კლასის ფრიადოსანი მოსწავლე პაატა წიკლაური 11 წლისაა.

იგი ჯერ კიდევ ოთხი წლისა იყო როცა მამის რჩევით, მისი წაბაძვითა და წახედულებით ხატვას მიჰყო ხელი. პაატას ნახატი „ტრაქტორი" მალე ჟურნალ „დილაში" დაიბეჭდა. პირველ წარმატებას ახალი წარმატებები მოყვა: ნორჩი მხატვრის ნამუშევრები ზედიზედ გამოქვეყნდა ჟურნალებში „საბჭოთა ხელოვნება", „ოგონიოკი", „პიონერი", „დილა", აგრეთვე გაზეთ „ნორჩ ლენინელში".

ქართველი მოსწავლის ნახატები ექსპონირებული იყო იაპონიაში, რუმინეთში, გერმანიაში, ბულგარეთში, ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა რესპუბლიკის დედაქალაქებში

ბუნებრივმა ნიჭმა, მდიდარმა ფანტაზიამ და შრომისმოყვარეობამ თავისი გაიტანა: პაატა წიკლაურის პერსონალურმა გამოფენამ, რომელიც თბილისის სახელმწიფო ფილარმონიაში მოეწყო, პირველი მედალი დაიმსახურა, მეორე მედალი კი ნორჩმა მხატვარმა ბაქოში გამართულ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოფენა-კონკურსში მიიღო.

11 წლის მხატვარს უკვე მიღებული აქვს მრავალი სიგელი, ჯილდო, ლაურეატის საპატიო წოდება.

ბავშვის საერთაშორისო წელი ახალი თემებით, ახალი სურვილებითა და მისწრაფებებით ამდიდრებს ნორჩი მხატვრის სამყაროს.

„დაე, მუდამ იყოს მზე!". — აი მიზანი ნორჩი შემოქმედისა.

## ვასილ შუკშინი

### მოთხრობა

ამას გაბედვა უნდოდა. მან გაბედა.

ძლივს მოლასლასდა სახლში. ვერ იცნობდით, ისე იყო გაყვითლებული. ცოლისთვის არ შეუხედავს, ზურგშექცევით მდგომმა უთხრა:

— იცი... მე ფული დავკარგე, — ესა თქვა და მისი გატეხილი ყვითელი ცხვირი (მოღრეცილი და კეხიანი) გაწითლდა, — ასოცი მანეთი დავკარგე!

ცოლს ყბა მოექცა, სახეზე ცნობისწადილი დაეწერა: იქნებ, ხუმრობს ეს კაცი? არა, ეს ცხვირმოღრეცილი ჯეელი არასოდეს არ ხუმრობს, არ ეხერხება. ქალმა ჩერჩეტულად იკითხა:

— სად დაკარგე?

კაცმა უნებლიედ წაუზმუვლა:

— ეგ რომ ვიცოდე, ხომ წავიდოდი და...

— აბა, ეგრეა საქმე! — ავარდა ქალი, — მორჩა, შენ ჩვენს ხელში ვერ გაიხარო! — და გაიქცა ტაფის მოსატანად, — ეს ცხრა თვე კარგად მეყოლე ახლა!

კაცმა ლოგინიდან ბალიში აიტაცა — დარტყმები უნდა მოეგერიებინა (ძველები თავიანთი ლაპლაპა ფარებითღა კოხტაობდნენ და მეტი არაფერი. ბალიშს რა შეედრება!), ქარბორია დაატრიალეს ოთახში.

— ბალიშს თხვრი, ქალო, ბალიშს! შენი გასარეცხი იქნება, ხომ იცი!

— გავრეცხავ, გავრეცხავ, შენ ცვირმოღრეცილო. მაგრამ ეგ ნეკნები, ორი ნეკნი მაინც უნდა ამოგიღო...

— თანახმა ვარ, ქალო, თანახმა!

— ოხ, შენი ქოქი არ იყოს, შენი!

— თანახმა ვარ, არ გესმის, დედაკაცო! მე ხომ ხვალიდან ბიულეტენზე მომიწევს ჯდომა და სად მიდიხარ მერე. მე რა, შენ იკითხე, თორემ...

— მოგიწევს და დაჯექი მერე!

— შენთვის იქნება უარესი!..

— იყოს!

— ვაიმე!

— ეგრე გინდა!

— კარგი, ჰო, გეყოფა...

— არა, მაცალე, გული ვიჯერო, გული! ერთი სული მოვითქვა. ცხვირმოღრეცილო ვირისთაო! შე ხეკაკუნავ, შენა... — ქალმა ახლა კი იმარჯვა და ქმარს მაგრად ბრეგვა თავში, ქალს ცოტა თვითონვე შეეშინდა...

კაცმა ბალიში დააგდო, თავში ხელი იტაცა, დაიგმინა. ქალი გულისყურით მიაჩერდა: თავს იკატუნებს თუ მართლა ტკივა? დაასკვნა — მართლა ვატკინეო. ტაფა იატაკზე დადო, სკამზე ჩამოჯდა და აზლუქუნდა, თან მოთქვამდა:

— ღმერთო, რად მერგო ასეთი ბე-ე-დი?.. როგორ ვაგროვე მე ის ფული, როგორ ვა-ა-გრო-ვე! რამდენჯერ ლუკმა დამიკლია, ღმერთო, რა-ა-მდენჯერ!.. რემდენჯერ შვილებს ტკბილეული ვე-ე-ღარ ვ-უ-უ-ყი-დე!.. სულ ვინახავდი, რაც კი მქონდა, შე ვი-ი-რი-სთაო! ვაიმე, დედა! კაპიკს კაპიკზე ვადებდი და გულით ვხარობდი: ჩემს შვილებს ზამთარში თბილად და ლამაზად ჩავაცმევმეთქი!.. სკოლაში ტანსაცმელშემოფლეთილნი, ტიტველნი არ ივლიან-მეთქი!..

— ტიტველნი როდის დაგვიდიან, ქალო, ბავშვები? — ვერ მოითმინა ქმარმა.

— გაჩუმდი, ვირისთაო! ხმა ჩაიგდე მანდ. ბავშვებს ასცანცლე ის ფული და ძმაბიჭებში ჩახეთქე, არა? როგორ არ გაგისკდა ეგ მუცელი... დაეხრჩვე და გაეგუდე იმ არაყს, მოვისვენებდით მაინცა... სულს მოვითქვამდით.

— ამისთანა დალოცვისთვის მადლობის მეტი რა მეთქმის, — გესლიანად ჩაურთო ქმარმა.

— უ, შე ვირისთაო, შენა!.. სად იყავი, სად? იქნებ, გაიხსენო, შე ყურუმსალო?.. იქნებ, სამსახურში დაგრჩა სადმე? იქნებ, დაზგის ქვეშ დადევი და დაგავიწყდა?

— სამსახურში არა!.. სამსახურიდან შემსალაროში წავედი. სამსახურში...

— იქნებ, ვინმესთან შეიარე, ვირისთაო?

— არავისთანაც არ შემივლია.

— იქნებ, წერტში ალკოჰოლიკებთან ლუდი დალიე? კარგად გაიხსენე. იქნებ, ჯიბიდან ამოგივარდა... გაიქეცი, იქნებ, პატრონს ელოდებიან.

— არ შემივლია, ადამიანო, წერტში!

— სად უნდა დაგეკარგა ფული, ვირისთაო, სად?!

— მე რა ვიცი?!

— როგორ ველოდი!.. ახლა ბავშვებს ხელს მოვკიდებდი და წავიყვანდი, ქურქებს მოვაზომებდი, უკვე შეგულებულიც მქონდა... ახლა კი მორჩა, დაიტაცებენ. უი შენს თავს, ვირისთაო, უი და ვაი!..

— კარგი ჰო! რა გამიჭირე საქმე, რა ვირისთაო და ვირისთაო აგიჩემებია!

— ვირისთავი ხარ, აბა, ვინ ოხერი ხარ!

— რაც მოხდა, მოხდა, ახლა რას ვიზამ?

— რას იზამ და, ორ ცვლაში იმუშავებ, ვირისთაო! შენ დღე გაყაროთ... კიდევ მოგვთხოვ ჰიქა არაყს აბანოდან გამოსულზე და მოგართმევთ! აუდუღარ წყალს მოგართმევთ, კი, ბატონო!..

— რა ჩემ ფეხებად მინდა ჰიქა არაყი, უარაყოდ არ მოვკვდები, ნუ გეშინია!

— სამსახურში ფეხით გატარებთ, დაიცა! ძუნძულ-ძუნძულით, იქნებ, როგორმე მიუსწრო ხოლმე სამუშაოს. ძვირად დაგისვამთ იმ ფულის დაკარგვას, გახსოვდეს, შხამად და ძმრად ამოგადენთ, აგერ ნახავ! ბევრჯერ გაგახსენდება სიმწრით ის ფული, ბევრჯერ!

— ორ თვეში ვერა, მაგრამ ცოტა მეტ ხანში ავანაზღაურებ, — სერიოზულად თქვა კაცმა და წამოსიებულ შუბლზე ოფლი მოიწმინდა, — ოსტატს უკვე მოველაპარაკე... — თავიდან ვერ იაზრა, თავი რომ გაყიდა. როცა ქალმა გაკვირვებით გახედა, გამოასწორა:

— როცა ვნახე, ფული დავკარგე, სამსახურში მივბრუნდი და ოსტატს მოველაპარაკე.

— აბა, შემსალაროს წიგნაკი მაჩვენე, — მოსთხოვა ქალმა. გამოართვა, ნახა, ამოიხვნეშა და ერთხელ კიდევ სიმწრით გამოსცრა კბილებში:

— ვირისთაო!

ანდრეი ერინი კალატოზად მუშაობდა ხორბლის დამამზადებელ პატარა სახელოსნოში, რომელიც სოფლიდან ათიოდე ვერსზე იყო. ანდრეი მთელი კვირა ვერ იყო თავის ჭკუაზე, მოიშალა კაცი. ცოლი გაუთავებლად ეჩხუბებოდა. ანდრეის წამდაუწუმ ახსენებდნენ მის „ვირისთაობას“, თვითონაც ბრაზობდა, მაგრამ გულში, ხმამაღლა ვერაფერს უბედავდა ცოლს.

მაგრამ დღეები გადიოდა... ცოლი მშვიდდებოდა. ანდრეი ითმენდა და ფიქრობდა, ბოლოს გადაწყვიტა, რომ უკვე შეიძლებოდა გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა.

და, აი, გვიან სალამოს (იგი მართლა ცვლანახევარს „ტეხავდა“) მოვიდა შინ. ხელში ყუთი ეჭირა, იმ ყუთში კი იგრძნობოდა, რაღაც მძიმე რომ იდო.

ანდრეი ჩუმად, თავისთვის იბადრებოდა.

არცთუ იშვიათად შინაც მოუტანია სამუშაო, ხან რა და ხან რა. ქალალდში შეახვევდა ყუთებსა და ხის რაგინდა რა ხარახურას და მუშაობდა სახლში. ამიტომ არც გაჰკვირვებიათ, ახლაც რომ რაღაც მოიტანა. მაგრამ ანდრეი ჩუმად იბადრებოდა. იდგა ზღურბლზე, იდგა და ელოდა, როდის მიაქცევდნენ ყურადღებას... მიაქციეს.

— ეი, შენ, რას იბადრები მანდ?... ისე ლაპლაპებ, როგორც... შიშველი უკანალი მთვარის შუქზე!

— აი... დამკვრელური შრომისთვის მაჩუქეს!.. — ანდრეი მაგიდასთან მივიდა, დიდხანს ხსნიდა შეკვრას. როგორც იყო, გახსნა და მაგიდაზე ჩამოდგა... მიკროსკოპი — ჰო, მიკროსკოპი.

— რად გინდა შენ ეგა?

ანდრეი ახლა კი შეიშმუშნა, მაგრამ ეს დამნაშავე კაცის შეშმუშვნა არ იყო, როგორც სხვა დროს იშმუშნებოდა-ხოლმე, არა, შემწყნარებლურად, მიმტევებლურად შეიშმუშნა.

— რას აკეთებ შენა? — გაიბუსა ცოლი.

ანდრეი და მისი ვაჟი სიცილით ჩაბჟირდნენ.

დედამ შვილს მკაცრად გადახედა. ბიჭი გაიტრუნა.

— იცი თუ არა, რომ შენს ირგვლივ უამრავი, აურაცხელი მიკრობი ირევა? აი, შენ ჰიქა წყალი ყლურწე... არა? — ანდრეიმ ტოლჩა წყალი ყლურწა, — შენა გგონია, წყალსა სვამ, ხომ ასეა?

— წადი, შენი!

— არა, გეკითხები?!

— წყალსა ვსვამ!

ანდრეიმ შვილს გადახედა და უნებლიედ ისევ გადაიხარხარა.

— წყალსა ვსვამო! სულელი არა ხარ ახლა შენა?..

— ვირისთაო! წავედი ტაფის მოსატანად!

ანდრეი მაშინვე დასერიოზულდა.

— მიკრობებს ნთქავ, სულიკო, მიკრობებს, ისე წყალსაც კი სვამ ცოტას, დიდი არაფერი, სულ ორიოდე მილიონი მიკრობია — ასეთია წესი და რიგი. ხომ უნდა წაიხემსო კაცმა! — მამა-შვილი ისევ გადაფიჩინდა. ზოია (ცოლი) საკუჭნაოსაკენ წავიდა ტაფის მოსატანად.

— მოდი, ნახე, ნახე! — დაუყვირა ანდრეიმ. ტოლჩიანად მივიდა მაგიდასთან, ერთხანს აწყობდა ხელსაწყოს, მინის რგოლზე წყალი დააწვეთა, მიკროსკოპის ლინზას მიადგა და, ასე, ალბათ, ორი წუთი მაინც, ხვნეშა-სვენებით იხედებოდა შიგ. ბიჭი ზურგს უკან ედგა — გაგიჟებით უნდოდა მიკროსკოპში ჩახედვა.

— მამი!..

— აი, ძაღლი-მამაძაღლები!.. — დაიჩურჩულა ანდრეი ერინმა. რაღაცნაირი ურუანტელის მომგვრელი სიხარულით დაიჩურჩულა, — დასეირნობენ...

— მამი, ა, მამი!

მამამ ფეხი ტლინკა.

— დადიან, დასეირნობენ ალმა-დალმა, ეს ოხრები!

— მამიკო!

— აჩვენე ბავშვს, შე ვირისთაო! — უბრძანა ქალმა, თან აშკარად ეტყობოდა, თვითონაც დაინტერესებულიყო.

ანდრეი დიდი გაჭირვებით მოშორდა ლინზას, სხვა რა გზა ჰქონდა და შვილი მიუშვა. შურით, ხარბად მისჩერებოდა მას ზურგში. ვერ მოითმინა და ჰკითხა:

— რა ხდება?

ბიჭი დუმდა.

— ხედავ? ხმა ამოიღე!

— აი, ისინიც! — იღრიალა ბიჭმა, — ქათქათი გაუდით!..

მამამ-შვილი მიკროსკოპს მოაცილა და ადგილი ცოლს დაუთმო.

— მიდი, ჩაიხედე და ნახავ, რა წყალსაც სვამ!..

ქალი დიდხანს იხედებოდა ლინზაში... ხან ერთი თვალით, ხან — მეორით...

— ვერაფერსაც ვერ ვხედავ!..

ანდრეიმ პირდაპირ აიწყვიტა, საოცრად გამამაცდა.

— თვალში ვერ იხედები, ქალო! ჯიბეში კაპიკი რომ გეგდოს, მაშინვე ნახავს, მიკრობებს კი ვერა ხედავს ეს ბედნიერი! შიგ თვალში გიფრინდებიან, ქათქათი გაუდით, ქალო!..

ქალი, რაკი თვითონ ვერ ხედავდა იმ მოქათქათე რაღაცეებს, ხოლო მისი ქმარი და შვილი ხედავდნენ, არ ბრაზობდა.

— ჰო, აგერ არიან!.. — თქვა მან. შესაძლოა, მოიტყუა კიდეც. შეეძლო მოეტყუა.

ანდრეიმ ქალს წაუჯიკავა, გვერდზე მიაყენა და თვითონ ლინზას დააკვდა. ისევ აჩურჩულდა.

— თქვენი დედის სული! რა ამბავში არიან, ხალხნო!

— შავები რომ ირევიან რაღაც, ისინია, — ეკითხებოდა ანდრეის ზურგს უკან დედა შვილს, — აი, სუპში ზიპი რომ დაცურავს, ისეთი, არაა? ხომ მართალს ვამბობ?

— ხმა, კრინტი! — იჭყავლა მიკროსკოპს მიციებულმა ანდრეიმ, — ზიპებიო... ზიპიცა ხარ და... შაშხი ხარ, შაშხი!

უცნაური ამბავი ხდებოდა, ანდრეი უკვე ოჯახის უფროსის თამამი ტონით ლაპარაკობდა.

უფროსმა შვილმა — მეხუთეკლასელმა ბიჭმა გაიცინა: დედამ ქიმუნჯი ჰკრა, შემდეგ მიკროსკოპთან უმცროსი შვილები მიიყვანა.

— აბა, ვირისთაო, მიუშვი ბავშვები და ჩაახედე. არ ჩაწვა შიგ!..

მამამ მიკროსკოპთან ადგილი დათმო და აღელვებით მოჰყვა ოთახში ბოლთის ცემას. რაღაცაზე ფიქრობდა.

ვახშმობისას ანდრეი ფიქრში იყო ჩაძირული, თან ჭამდა, თან მიკროსკოპში იყურებოდა და თავს აქეთ-იქით იქნევდა. კოვზით სუპი ამოიღო და შვილს თვალთან მიუტანა:

— რამდენი იქნება აქ?.. მიახლოებით...

შვილმა შუბლი შეიჭმუხნა:

— ასე, მილიონნახევარი იქნება...

ანდრეი ერინი კიდევ უფრო მეტი გულისყურით დააცქერდა კოვზს.

— არანაკლები. ჩვენ კიდევა, ყლუპ! — მან სუპი მოსვა და გულზე ხელი დაიბაგუნა, — და სადღაა შენი მილიონნახევარი? ფაფუ! ახლა იმათ ჩვენი ორგანიზმი მიხარშ-მოხარშავს. იმან იცის თავისი საქმე!

— იქნებ შენ ითხოვე, რომ ეს ეჩუქებინათ? — ცოლმა ოდნავ უკმაყოფილოდ გააქნია თავი მიკროსკოპისაკენ, — იქნებ, მტვერსასრუტიც მოგცენ, თორემ რა გინდა ქნა, რა?!

არა, როცა ქალს აჩენდა, ღმერთმა რაღაც ჭკვიანური იხიმანა. შთაგონებას აჰყვა მამა-ღმერთი, გაიტაცა რაღაცამ. თუმცა, რა, ყველა შემოქმედი ასე არაა! კაცმა რომ თქვას, რა მოხდა — მოაზროვნეს კი არ ქმნიდა, ქალს ქმნიდა.

ღამე ორჯერ ადგა ანდრეი, ორჯერვე შუქი აანთო, კარგა ხანს იხედებოდა მიკროსკოპში, თან ჩურჩულებდა:

— აი, ეს ძაღლი-მამაძაღლები... რა ამბავში არიან! არ ეძინებათ მაინც?!

— ნუ შეიშლები, ახლა! — უთხრა ცოლმა, — ბევრი კი არ გინდა, ცოტაც და აფრენ...

— მალე დავიწყებ აღმოჩენებს, — უთხრა ანდრეიმ, როცა ცოლს მიუწვა, — შენა მეცნიერთან თუ წოლილხარ როდისმე?

— რეებს მელაპარაკები?!.

— დაწვები! — ანდრეიმ ალერსით მოუტყაპუნა ცოლს ფაფუკ ზურგზე ხელი, — კი, სულიკო, კი, მოგიწევს მეცნიერთან წოლა...

ეს ერთი კვირა ანდრეიმ თითქოს სიზმარში იცხოვრა. სამუშაოდან მოვიდოდა თუ არა, საფუძვლიანად იბანდა, ჩქარ-ჩქარა ვახშმობდა და... მიკროსკოპს არ ეშვებოდა.

— საქმე ისაა, — ამბობდა იგი, — რომ ადამიანს ასორმოცდაათი წლის სიცოცხლე უწერია. ამოცანა გვეკითხება, რატომ ცოცხლობს იგი ორმოცდაათ, დიდი-დიდი სამოცდაათ წელიწადს; რატომ ჭიმავს ასე ადრე ფეხებს? მიკრობების ბრალია, ჩემო ძმაო, მიკრობების! ეს ძაღლი-მამაძაღლები უმოკლებენ ადამიანს დღეს. შეძვრებიან ორგანიზმში და, როგორც კი სხეული ცოტათი მოფანფალდება, შავ დღეს აყრიან.

ანდრეი და მისი უფროსი ვაჟი საათობით უსხდნენ მიკროსკოპს, ხან ჭის წყალს იკვლევდნენ, ხან — ანადუღარს. თუ წვიმდა, ნაწვიმარ წყალსაც სწავლობდნენ. მამამ შვილი გუბის წყალზეც ჩაგზავნა, მისი სინჯიც უნდა ენახათ... იქაც მილიონობით ტრიალებენ ის ქათქათა ძაღლი-მამაძაღლებიო!

— ოჰ, თქვენი დედა, თქვენი მამა. რა დღეში არიან, კაცო!.. როგორ გინდა ამათ ებრძოლო?! — გაიძახოდა სასოწარკვეთილი ანდრეი, — მიდის კაცი გზაში, გუბეში ჩაჰყოფს ფეხს და მორჩა, დაითრია მიკრობები. ახლა ბავშვს როგორი ორგანიზმი აქვს, რა გინდა ქნა?!

— ამიტომ ფეხი ყოველთვის უნდა გავიწმინდოთ! — უთხრა შვილმა, — შენ კი არ იწმინდავ ხოლმე.

— მე სულ სხვა რამეს ვამბობ. საქმე ისაა, რომ მათი მოსპობა პირდაპირ გუბეში უნდა შევძლოთ, თორემ, ვითომ რა გამოვა; კარგი, მე გავიწმინდავ ფეხს, ახლა ვიცი, რომ უნდა გავიწმინდო, მაგრამ, აი, სენკას რას უშვრები,

# მიკრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი თენგიზ სამსონაძე



მაროვს... იმას რამეს გააგებინებ! როგორც აქამდე დატყაპუნობდა, აწიც ისევე იტყაპუნებს.

ოფლის წვეთიც გამოიკვლიეს, რისთვისაც ანდრეის ბიჭმა ქანცის გაცლამდე ირბინა ქუჩაში, შემდეგ მამამ კოვზით მოწმინდა შუბლზე ოფლი, კარგა მოზრდილი წვეთი გამოუვიდათ და მიკროსკოპს მიუსხდნენ.

— არის! — ანდრეიმ გულშეჭირვებით დაირტყა მუხლზე ხელი, — როგორ გინდა ასორმოცდაათ წლამდე იცოცხლო?! კანშიც ყოფილან ის ძაღლი-მამაძაღლები!

— მოდი, სისხლიც გავსინჯოთ! — შესთავაზა შვილმა მამას.

მამამ თითში ნემსი იჩხვლიტა, ხასხასა წითელი სისხლი გამოიდინა და მინაზე დააწვეთა... ლინზაში ჩაიხედა და დაიგმინა.

— ცუდადაა საქმე, შვილო... სისხლშიც შეუღწევიათ! — ანდრეი ერინი წელში გაიმართა, გაოგნებით მოათვალიერა იქაურობა, — გასაგებია. ხომ იციან იმ პარაზიტებმა, ჩემზე უკეთ იციან, მაგრამ ხმას არ იღებენ.

— ვიზე ამბობ? — ვერ გაიგო შვილმა.

— ვიზე ვამბობ და მეცნიერებზე ვამბობ. იმათ ჩემისთანა მიკროსკოპი კი არა აქვთ, ყველაფერს კარგად ხედავენ, მაგრამ პირში წყალს იგუბებენ. არ უნდათ ხალხს გუნება წაუხდინონ. არადა, რას მალავ, ვის უმალავ? იქნებ, ყველას ერთად რამე გველონა. იქნებ, მოგვეფიქრებინა, როგორ შეიძლება იმ ძაღლი-მამაძაღლების მოსპობა. არა, პირი შეუკრავთ და გაჩუმებულან. ვითომ მღელვარება დაიწყებაო ჰგონიათ.

ანდრეი ერინი ტაბურეტზე ჩამოჯდა, გააბოლა.

— ამან, ამან როგორ უნდა დაღუპოს კაცობრიობა. სულ არაფრის გამო როგორ უნდა მოკვდეს კაცი! — დანა რომ დაგერტყათ, სისხლი არ გამოუვიდოდა.

ბიჭი მიკროსკოპში იყურებოდა.

— შეწყობილი არიან ერთმანეთს... ეს პატარები სხვანაირებია... მომრგვალონი...

— ისინი ყველანი — მომრგვალონიც და მოგრძონიც, ერთი ოხრობაა. დედას ნუ ეტყვი ჯერ, ისინი ჩემს სისხლშიც რომ ვნახეთ.

— მოდი, ჩემთანაც ვნახოთ.

ანდრეიმ შვილს შეხედა... მამის თვალში შიშიც და ცნობისწადილიც ერთდროულად ჩაბუდდა. მრავალი წლის მანძილზე ნაჯაფი, ფისით გაულენთილი დიდი ხელები მუხლზე ეწყო და უცახცახებდა.

— არ გვინდა. იქნებ, პატარებს მაინც... ეჰ! — ანდრეი წამოდგა, ბოლმისაგან წიხლი ჰკრა ტაბურეტს, — ტილების, ბაღლინჯოების, ყოველგვარი მატლების გამოყვანა ისწავლეთ, ამ ძაღლ-მამაძაღლებს კი ვერაფერი დააკელით... სულ უმცირეს ქინქლაზე პატარები არიან და მაინც... სულ ეგა ხართ, სულ ესაა თქვენი მეცნიერული ხარისხები?!.

— ტილი თვალითაც ჩანს, ამათ კი... რას ეძახი?

მამა დიდხანს დუმდა.

— სკიპიდარით რომ მოვსპოთ? არ გამოვა? იქნებ, ისევ არაყმა უშველოს საქმეს. მე ვსვამ, მაგრამ ხომ ნახე, რა დღეშია ჩემი სისხლი!..

— არაყი რაო, სისხლში მიდის?

— აბა, სად მიდის? კაცი რომ სულელდება, აბა, როგორ სულელდება?

●

ერთხელ, როგორღაც, ანდრეიმ სამსახურიდან გრძელი, წვრილი ნემსი მოიტანა... დაიბანა, შვილს თვალი ჩაუკრა და წინკარში გავიდნენ.

— მოდი, ვცადოთ... მავთულს თავი წავულესე, იქნებ, როგორმე ორიოდე ცალი მაინც ჩავჩხვლიტოთ.

მავთულის წვერი ბეწვივით წვრილი იყო. ანდრეიმ დიდხანს იწვალა იმ წვერით წყლის წვეთში. ქლოშინებდა... ოფლმა დაასხა.

— გარბი-გამორბიან მამაძაღლები... არა, მავთულის წვერი მსხვილია, ვერ მოიკიდებს. უფრო წვრილია საჭირო, მეტი დაწვრილება კი არ გამოვა. კარგი, ახლა ვივახშმოთ და მერე დენით ვცადოთ... ბატარეა მოვიტანე: ორი მავთული გამოვიყვანოთ და ვაკონტაქტოთ. ვნახოთ, ერთი რა მოხდება...

ვახშმობისას მოხდა ის, რაც გათვალისწინებული არ ჰქონდათ — სერგეი კულიკოვი შემოესწროთ. სერგეი ანდრეისთან მუშაობდა ხორბლის დამზადებაზე. შაბათი დღე იყო და სერგეი შექეიფიანებული გახლდათ, ალბათ, ამიტომაც, ისე შემოუარა ანდრეის.

ბოლო ხანებში ანდრეის ხმისთვის არა ცხელოდა და გაოცებით შეატყო თავს, რომ მთვრალი კაცი ეზარებოდა. ძალიან ცუდად იქცევიან ეს მთვრალები და უმსგავსო რამეებს როშავენ, უწმაწურ საუბარს არ ერიდებიან.

— დაჯექი! — უხალისოდ მიიპატიჟა ანდრეიმ.

— არა, ჩვენ აქ ჩვენთვის... კუთხეში ვიქნებით!

„რაღა ახლა მოეხეტა ეს ყურუმსალი?“

— როგორც გინდა.

— მიკრობები მანახე, რა!

ანდრეი შეკრთა.

— რა, მიკრობებიო? წადი, დაიძინე, სერიოჟა... რა მიკრობები უნდა ნახო, საიდან?

— ნეტაი, რას მალავ, ერთი! შენც რომელი იარაღი გაქვს სახლში, რომ მალავ! მეცნიერება, ჩემო ძმაო, საქმეა, საქმე... ჩემმა ბიჭმა ყურები გამომიჭედა: ძია ანდრეის ყველა მიკრობის მოსპობა უნდაო. ანდრეი!.. — სერგეიმ გულზე მუშტი დაიბრაგუნა და მრისხანე თვალით მიაჩერდა „მეცნიერს“, — ოქროს ძეგლს დაგიდგამთ! მთელ მსოფლიოში გაგითქვამთ სახელს! მეც შენს გვერდით ვმუშაობდი, ხომ ასეა, ა, ადრეი, ანდრიუხა!

ზოია ერინა მთვრალებს ვერ იტანდა, მაგრამ მასაც სიამოვნებდა სოფელში მის ქმარზე რომ ამბობდნენ მეცნიერიაო. უფრო იმის გამო, რომ საუბარში ჩარევა წესად ჰქონდა და არა მართლა რაიმე აწუხებდა, მან თქვა:

— სხვა რამეზე ვერ ისაუბრებდით? თორემ გამიწყალდა გული — სულ მიკროსკოპი და მიკროსკოპი მესმის. შეიშლება ეს კაცი — ღამეები არა სძინავს. მტვერსასრუტით რომ დაესაჩუქრებინათ, კიდევ ჰო... თორემ ვერც გვიყიდია, არადა, მტვერი, კი იცით...

— ვინ დაესაჩუქრებინათ, რითი დაესაჩუქრებინათ? — ვერ გაიგო სერგეიმ.

ანდრეი ერინს ძარღვებში სისხლი გაეყინა.

— აი, პრემია რომ მისცეს... ის მიკროსკოპი ხომ...

ანდრეის უნდოდა როგორმე თვალებით ენიშნებინა სერგეისთვის, რომ... აპა! სერგეი ბატივით მისჩერებოდა ზოიას.

— რა პრემიაო, რისი პრემიაო?

— პრემიები ხომ მოგცეს?

— როდის?

ზოიამ ჯერ ქმარს შეხედა, მერე სერგეის...

— პრემიები არ მოუციათ თქვენთვის?

— ელოდე! პრემია, არა!.. გაიქეცი, გაიქეცი, მაინც დაგეწევიან და მოგცემენ. პრემია...

— ანდრეის ხომ მიკროსკოპი მისცეს... დამკვრელური მუშაობისთვის...

ზოიას რომ უსმენდა, ანდრეის ბურძგლს აყრიდა. ქალი ყველაფერს მიხვდა.

— ეგენი რა პრემიას მოგცემენ! — ბორგავდა კუთხეში მიმჯდარი მთვრალი სერგეი, — გასულ თვეში ას ოცდაათი პროცენტით ავქაჩე გეგმა, მაგრამ ვინ რა მომცა. აი, ანდრეი აქ არ არის, ტყუილს როგორ ვიტყვი...

ერთ წუთში ქვეყანა ჩამოიქცა და ქვევით, უფსკრულში დაინთქა.

ანდრეი წამოდგა... სერგეის საყელოში ჩაავლო ხელი და გარეთ გაიყვანა. ერთი ორჯერ უთავაზა ზურგში და მერე ჰკითხა:

— შენა, მანეთიანი თუ გაქვს? ხელფასზე მოგცემ.

— მაქვს... რატომ დამარტყი?

— წამო წერტში... გადმოგიგდია ეგ ენა!.. რას დაბოდიალობ მთვრალი ეზო-ეზო! ეჰ, ერთი შენცა ხარ და!..

ის ღამე ანდრეი ერინმა სერგეისთან გაათია. გონის დაკარგვამდე გაილეშნენ. რაც თვითონ ჰქონდათ ფული სულ დალიეს, ზედაც ისესხეს და დაამატეს.

მხოლოდ მეორე დღეს, სადილობის დროს მივიდა ანდრეი სახლში. ცოლი არ დახვდა.

— სად არის? — ჰკითხა ბიჭს.

— ქალაქში წავიდა... აი, იმაში... საკომისიოში...

ანდრეი მაგიდას მიუჯდა, ხელებს დაეყრდნო, დიდხანს იჯდა ასე.

— რაიო, ბევრი მლანძღა?

— არა. ისე, ცოტა. ბევრი დახარჯე?

— თორმეტი მანეთი. ეჰ, პეტკა, შვილო... — ანდრეი ერინს თავი არ აუწევია, შეიჭმუხნა, კბილები გააღრჭიალა, — განა ამაშია საქმე? პატარა ხარ ჯერ, პატარა და ვერ გაიგებ ვერა...

— მესმის, გაყიდის იმას.

— გაყიდის, ეგრეა. ქურქები გინდათ, რას იზამ, საჭიროა. ვერაფერსაც ვერ იზამ... საჭიროა, რასაკვირველია.

თარგმნა ჯუმბერ თითმერიამ

ჯერ არ მიყუჩებულიყო წინამძღვრის ტრაგედიის მძიმე ტკივილები, როცა მთელ საქართველოში გავრცელდა მაშო საპალიძის ამხანაგობის („კალმისათვის“) სტამბაში დაბეჭდილი ღია საფოსტო ბარათი, რომლის პირველ გვერდზე ასეთი კომპოზიციაა მოთავსებული: მამადავითის მთის ფონზე მოჩანს ილია ჭავჭავაძის პორტრეტი, შემკული დაფნის რტოთი. პორტრეტის წინ გადაშლილ რვეულზე დადუმებული კალამი ძევს, ხოლო მის გვერდით წაქცეულა ანთებული ჩირაღდანი..

პორტრეტის ქვევით, ოდნავ მარჯვნივ, ილიას წიგნებს შორის ზის შუბლით მარჯვენა ხელზე დაყრდნობილი მწუხარე ქართვლის დედა, რომელიც ღრმად ჩაფიქრებულა მშობელი ქვეყნის მძიმე ხვედრზე. მიწაზე დაყრილ ბალახებსა და ვარდის კოკრებს შორის მოჩანს სიმებდაწყვეტილი ჩანგი პოეტისა.

# ერთი ძველი საფოსტო ბარათის ამბავი




კომპოზიციას წერტილს უსვამს პოეტ „ნავის“ (სამწუხაროდ „ხავის“ ვინაობა ვერ დავადგინეთ, იგი არც ალ. მიქაძის „ფსევდონიმების ლექსიკონშია“ შეტანილი) ლექსი „შემოდგომა“, დაწერილი ილია ჭავჭავაძის „გაზაფხულის“ საპირისპირო მოტივებზე და კარგად გამოხატავს ქართველი ხალხის შეშფოთებას ილია ჭავჭავაძის საზარელი მკვლელობის გამო.

აი, ის ლექსიც:

შემოდგომა

ტყესა სცვივა ფოთოლი,
მერცხალი აღარ სჭყივის;
გაშრა ვაზი ობოლი
ლხენით ვეღარა სტირის.

სულ გადამხმარა მდელო,
მთები მობურვილია;
მამულო, უბედურო,
რად მოჰკალი ილია?

ეს მღელვარე სტრიქონები ხალხმა აიტაცა, მას მღეროდნენ თურმე ინსტრუმენტის თანხლებით, მღეროდნენ ინსტრუმენტის გარეშეც და ამ სიმღერით მრისხანე პროტესტს გამოთქვამდნენ საძულველი მეფის ხელისუფლებისა და მისი დაქირავებული მკვლელების მიმართ.

შოთა როსტომაშვილი

# რა იქნება, ჰა?!

დიდი ხანია რაც ამ გზაზე არ გამივლია და მაინც კარგად მახსოვს კასპის რაიონის სოფელ კავთისხევის შუკები და ორღობეები. ამ გზაზე დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში დიდედასთან ერთად ბევრჯერ ამივლია ზურგზე გადაკიდებული ტომრით, როცა საფქვავი მიგვქონებია წისქვილში.

წისქვილიც ისევ იმ ძველ ადგილას დგას. რიყის ქვისაგან ნაშენს, ცოტა ელფერი შეცვლია: კრამიტის მაგიერ ახლა შიფერი გადაუფარებიათ, კედლებს სიძველისაგან ხავსი მოჰკიდებია.

წისქვილის კარი გადარაზული დამხვდა. ცოტა არ იყოს გამიკვირდა, პაპა ილას კარის გადარაზვა არასოდეს არ უყვარდა.

— წისქვილს მიმსვლელ-მომსვლელი უყვარს!— იტყოდა ხოლმე ძველი მეწისქვილე პაპა ილა და კარს ფართოდ გაალებდა, თან მაშინვე ქვას დაუდებდა, რომ ქარს არ მიეხურა.

უკან გამობრუნება მინდოდა, რომ საფქვავით ხელში ახალგაზრდა კაცი წამომადგა თავზე. მოსულმა, წისქვილი დაკეტილი რომ დახვდა, სულაც არ გაჰკვირვებია, მივიდა, დაიხარა, კედლის ბუნჩულიდან გასაღები გამოიღო და წისქვილის კარი გააღო. ნესტის სუნი მეცა. სდუმდა სარეკელა და დოლაბი. ჭერი ობობას დაექსელა, ტახტზე, რომელზეც მეწისქვილე წვებოდა ხოლმე, მტვრიანი საგები ეგდო. ახალგაზრდა კაცმა საფქვავს თავი მოხსნა, ხვიმერაში ჩაუძახა, მერე ალა ამოასუფთავა და წყლის გადმოსაგდებად ჩახრიალასაკენ წავიდა. ღარიდან საგუბარი ამოიღო თუ არა, წყალმა იხუვლა და დოლაბი მძიმედ აროხროხდა. მერე ახლად მოსული წისქვილში შემობრუნდა, კრიჭა მოუშვა, დოლაბს აუწია, პირი გამოუკეთა, ზომაზე დააყენა კრიჭა და დოლაბი. ალაში ფქვილი წამოვიდა.

— ქვა მოსაკოდია! — წაიბუზღუნა ახალგაზრდა კაცმა, — წისქვილს ერთი კაცის ხელი უნდა მართავდეს... იმ დღეს თბილისიდან ყოფილან, ხორბალი დაუფქვავთ და ისე წასულან, რომ კარიც კი არ გამოუხურავთ. წისქვილი ყველას სჭირდება, მის მოვლა-პატრონობაზე კი არავინ ფიქრობს.

მოსაუბრე წამით შეჩერდა და მაშინვე განაგრძო:

— მეწისქვილე მეც ვიყავი, ორი წელი ვიმუშავე,... თავს ვევლებოდი წისქვილს.

— რაკი მეწისქვილედ გიმუშავია, ალბათ ქვის მოკოდაც გეცოდინება, — სიჩუმე დავარღვიე და თანამოსაუბრეს შევხედე. აბა რას იტყვის-მეთქი; ჩაიცინა.

— ქადილში არ ჩამომართვა და კარგად ვიცი, ერთმა კავთისხეველმა მეწისქვილემ მასწავლა... ღმერთმა აცხონოს, კეთილი კაცი იყო.

—მერე თუ იცი, შე კაი კაცო, რაღას უდგეხარ!— თანამოსაუბრემ შემომხედა, თავი მაღლა ასწია, დოლაბს შეავლო თვალი.

- უნდა მოვკოდო, მაშა, იმ დღეს ამხანაგთან ავედი და ვუთხარი, ბიჭო, ჩვენი წისქვილის ქვა მოსაკოდია და უნდა მოვკოდო-მეთქი. ამ დღეებში მოვკოდავთ...

დუმილი ჩამოვარდა. წამოვდექი და იქვე, წისქვილთან ამოჩუხჩუხებულ წყაროს წყლის დასალევად გავეშურე. ეს წყაროც ცხონებულმა მეწისქვილემ მოაწყო და მოაღამაზა.

ასე იყო, რაც წისქვილსა და მის შემომჩენს შეეხებოდა, მეწისქვილე ყველაფერს თავისი ხელით აკეთებდა.

ეხლა? უმეთვალყურეოდ, უპატრონოდ მიუგდიათ ეს ამაგდარი წისქვილი და შემთხვევითი კეთილი კაცი თუ წაახმარს ხოლმე ხელს.

— მთელ სოფელს ახლა ეს ერთი წისქვილიღა აქვს და რატომ უნდა მოაკლონ გარჯა, — ვფიქრობ და თან ქსელისის მთას — პატარა მდინარის კავთურას ძუძუსმაწოვარ დედას გავცქერი.

არა, ელექტროწისქვილს აბა რა შეედრება, მაგრამ არც ძველის დაკარგვა და მივიწყება შეიძლება! ესეც არ იყოს, წყალზე დაფქვილს სულ სხვა გემო, სულ სხვა ლაზათი და მაწივრობა აქვს. კავთისხეველებო, რა იქნება პაპა ილასავით გიყვარდეთ და მოუაროთ ახლო-მახლო შემორჩენილ ამ ერთადერთ წყლის მამაპაპურ წისქვილს, ჰა?

ამ ფიქრში ვიყავი გართული, რომ უცებ ხის ტოტიდან მზეწვია ჩამოფრინდა, მერე მიიხედ-მოიხედა, ალბათ იფიქრა, აქ არავინ არისო და ხტუნვა-ხტუნვით წისქვილში შევიდა, ძირს დაყრილ პურის მარცვლებს ნისკარტი დაავლო და გაფრინდა.

— ბარტყები ჰყავს, — ჩაილაპარაკა ახალგაზრდა კაცმა და ტყისაკენ გაიხედა.

— რა იცოდა, რომ წისქვილი ავამუშავეთ? — ვიკითხე დაინტერესებულმა; ამის თქმა და მეორე მზეწვიას მოფრენა ერთი იყო, იმანაც პურის მარცვალს ნისკარტი დაავლო და გაფრინდა.

— აგერ თუ არ იციან! — თქვა თანამოსაუბრემ და გაიცინა,—წიქვილის კარი მუდამ ღია უნდა იყოს... ხომ ხედავ, საჭირო ყოფილა! — ახალგაზრდა კაცი წამოდგა, აიტოტა და ისევ ხვიმირს ჩახედა.

ხმაურობდა დოლაბი, ცეკვავდა სარეკელა, ჩხრიალებდნენ სიმინდის მარცვლები და იქაურობაც ფქვილის სურნელებით ივსებოდა.

უშანგი ბედია



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

იუმორი

# პროფესორის გასაჭირი

თურხან რასიევი
(ბულგარეთი)

პროფესორმა საათზე დაიხედა. ისრები თორმეტს უახლოვდებოდა.

— დროა! — თქვა მან და თავშესაფრად განკუთვნილი კარადიდან გამოძვრა. მხრებში გაიმართა. უკაცრიელ ქუჩაში ქურდულად გავიდა, გაიხედ-გამოიხედა და ღამის გრილი და სუფთა ჰაერით გამოცოცხლებული შინისაკენ გაემართა. მთელი ამ დღეების მანძილზე პროფესორმა პირველად იგრძნო თავი მშვიდად და სტვენაც კი წამოიწყო, როგორც ბავშვობისას სოფელში, მწყემსად ყოფნის დროს იცოდა ხოლმე.

უეცრად ვიღაცის უხეში ხმა ჩაესმა:

— შეჩერდი! ან ფული ან სული!

ტოტებგაშლილ წაბლის ხეს მოფარებული ნიღაბაკრული კაცი გამოხტა და პროფესორს პისტოლეტის ლულა მიაბჯინა.

პროფესორმა ხელები ასწია და აცახცახებულმა შესძახა:

— ო, ბატონო ჩემო, ნუთუ ყურმა არ მომატყუა, ფულს თხოულობთ და მეტს არაფერს?!

— აბა, სხვა რა უნდა მეთხოვა? — წაიბურტყუნა მძარცველმა.

პროფესორმა გულის ჯიბიდან საფულე ამოიღო, მერე დანარჩენი ჯიბეები მოიჩხრიკა და პირწმინდად ამოკრეფილი ხურდა ფულიცა და ავტობუსისა და ტროლეიბუსის აბონემენტებიც მძარცველს ხელში ჩაუყარა. თან დასძინა:

— ვერ წარმოიდგენთ, როგორი დიდი მადლობელი ვარ თქვენი, ჩემო ძვირფასო!

— მადლობელი?! — განცვიფრებისაგან პირი დააღო მძარცველმა და პისტოლეტის ლულით კეფა გაშმაგებით მოიფხანა, — ნეტავი მადლობას რისთვის მიხდით?

— იცით რა, ჩემო კეთილო, თქვენ ერთადერთი ადამიანი ბრძანდებით, რომელიც ამ უკანასკნელ ორ კვირაში შემხვდა და არა მთხოვა უნივერსიტეტში მომეწყო მისი ქალიშვილი, ვაჟიშვილი, და, ძმა, ძმისწული, დისწული, რძალი, სიძე — თავმოუზრიებლად ჩემი კაბინეტის კარადაში დავიწყე დამალვა. ის ერთი ადგილიღა დამრჩა, სადაც თავისუფლად შემიძლია სული მოვითქვა.

— თქვენ ვინა ხართ? — ჩაჰკითხა მძარცველმა ათრთოლებული ხმით.

— მე? ვაი, რომ უნივერსიტეტის პროფესორი! — თქვა მან და გულდამშვიდებული გაუდგა გზას.

— ერთი წუთით! — ჩახლეჩილი ხმით მიაძახა მძარცველმა, — მე ხომ არ ვიცოდი, თქვენ პროფესორი რომ ბრძანდებოდით. აი, ინებეთ თქვენი საფულე... ოღონდ სამაგიეროდ... ერთი სიტყვით, იქნებ დიპლომი მოგეცათ?!

— ასე როგორ შეიძლება?! — სასოწარკვეთით შეჰყვირა პროფესორმა და ხელები გაასავსავა, — თქვენ ხომ მძარცველი ხართ? თუ ძარცვაა ძარცვა იყოს!

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

(დასასრული. დასაწყისი იხ. გვ. 2.).

ბუნებრივმა პირობებმა თავისი დაღი დაასვა შრომის პროცესსაც და საერთოდ ცხოვრებასაც. ჯერ კიდევ ბევრია ადგილები, სადაც შეუძლებელია მექანიზაციის თუნდაც მინიმალური გამოყენება და ყველა სამუშაო ხელით სრულდება. ძნელი წარმოსადგენი არაა, თუ რა სიძნელეები ახლავს ასეთ შრომას, მაგრამ შრომისმოყვარე ადამიანები არაფერზე არ იხევენ უკან. გამოუყენებლად არ ტოვებენ არც ერთ გოჯ მიწას — ასეთმა თავდადებამ აკი გამოიღო კიდეც თავისი ნაყოფი; მოხუცი გასცქერის ამაყად წამომართულ ორსართულიან სახლებს ,მოღონიერებულ სოფელს და დაუფარავი სიამაყით ამბობს:

ადრე ასეთ რამეზე ოცნებაც არ შეიძლებოდა. ეს კი არა, აჭარელი შიშითა და ძრწოლით ელოდა ზამთარს; მისი ერთადერთი საზრუნავი ის იყო, რომ როგორმე გაზაფხულამდე გაეტანა თავი და შიმშილით არ ამოხდომოდა სული. მახსოვს, როცა ქალამანს ამოვისხამდით, „ცქვიტა“ ვერ გავიქცეოდით, რომ არ გაცვეთილიყო. ბათუმში მიმავალი ქალაქამდე წინდებით მიდიოდნენ და მხოლოდ შესასვლეში ჩაიცვამდნენ ხოლმე.

ნებისმიერ ადამიანს უჭირს მწარე წარსულის გახსენება და ცდილობს როგორღაც თავი აარიდოს მას, მაგრამ შაქირ აბაშიძე ერთი წამითაც არ შეყოყმანებულა. ამის მთავარი მიზეზი მხოლოდ კეთილი სურვილია, სურვილი იმისა, რომ რაც შეიძლება სრულად წარმოგვიდგინოს თავისი სოფლის, მისი შრომისმოყვარე ადამიანების მიერ განვლილი გზა. ყველაფერი ეს ხომ იოლად არ მოსულა; მან შეიწირა ბევრი ჯაფა და ოფლი, სისხლი და ცრემლი.

შაქირ აბაშიძე კოლმეურნეობის წევრია 1931 წლიდან, ერთ-ერთი პირველი წევრი და მისი დამაარსებელი .მაშინ სულ ექვსი კაცი გაერთიანდა კოლმეურნეობაში, ან როგორც მისი დამაარსებლები უწოდებდნენ „მიწათ მოწყობის ამხანაგობაში“. შ. აბაშიძე, ს. თურმანიძე, თ. გოგოძე, მ. და ზ. ბერიძეები, რ. კიკნაძე მათი უმრავლესობა დღეს ცოცხალი აღარაა, მაგრამ სწორედ ამ ამხანაგობის საფუძველზე აშენდა დღევანდელი მძლავრი კოლმეურნეობები, რომელიც მთიდან მოწყვეტილი პატარა ნაკადულივით თანდათან ღონიერდებოდა, ძალას იკრებდა.

# მთიან აჭარაში

ჩვენ დასაწყისში არაფერი გვითქვამს შაქირ აბაშიძის პირად ცხოვრებაზე, მის წარმატებებზე, მაგრამ ამაში „ბრალი“ ალბათ, თვითონ მასვე მიუძღვის. საკუთარი თავისთვის ვერ იცლიდა. ცხოვრება კი სასახელოდ გაუვლია. ჯერ კიდევ 1947 წელს საუკეთესო მუშაობისათვის მერგოლეური შაქირ აბაშიძე დაჯილდოებული იქნა ლენინის ორდენით, 1949 წელს შრომის წითელი დროშის ორდენით. წლების განმავლობაში იყო ადგილობრივი და რაიონული საბჭოების დეპუტატი. მიუხედავად ასაკისა, შრომის ვეტერანი არც ახლა ცხრება. სოფელში კი საქმეს რა გამოლევს. თანასოფლელებიც ენდობიან და უჯერებენ. ყველგან ნახავთ მას: თამბაქოს პლანტაციაში, საზაფხულო იალაღებზე და ხალხის თავყრილობაზე. წელსაც გაიპიროვნა სათიბი და კოლმეურნეობის მეცხოველეებს დაეხმარება საკვების დამზადებაში.

არც სოფლის გასაჭირს არიდებს თავს ბაბულია შაქირი, აგერ მერამდენე თვეა აწუხებს სათანადო ორგანიზაციას, რომ რაიონის ცენტრთან დასაკავშირებლად სოფელს გამოუყონ ავტობუსი. მშრომელებს სხვადასხვა საქმეზე უხდებათ ჩამოსვლა რაიონულ ცენტრში. მათ თხოვნას კი საშველი არ დაადგა.

## „ვაზო შვილივით ნაზარდო“

„და არის აჭარის ხეობა ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი...“ წერს ჩვენი სახელგანთქმული ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი, ამჟამად კი ყველასთვის ცნობილ მიზეზთა გამო მევენახეობა აჭარაში „ახალ“ დარგად ითვლება. მევენახეობის აღორძინება აჭარაში, ძირითადად, ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში მიმდინარეობდა. აჭარული გლეხი ისევ დაუბრუნდა „შვილივით ნაზარდ“ ვაზს.

ხულოს რაიონში მევენახეობის აღორძინებას უკავშირებენ დემურ ალი მელაძეს, მთიან აჭარაში პირველი სოციალისტური შრომის გმირს მევენახეობაში. დ. მელაძემ თავისი გამოცდილება გაუზიარა და ამ საშვილიშვილო საქმეში აიყოლია სხვებიც, ხოლო მაშინდელი ახალბედები წარმატებით მუშაობენ საკოლმეურნეო ზვრებში.

დღეისათვის ხულოს რაიონში გაშენებულია 38 ჰექტარი დაბლარი და 1 ჰექტარი მაღლარი. სულ სახელმწიფოს უნდა მიეყიდოს 220 ტონა ყურძენი, რომელშიც შედის მოსახლეობიდან შესასყიდი 10 ტონაც.

დ. მელაძის კვალს ერთ-ერთი პირველი გაჰყვა ხულოს რაიონის სოფ. ოქტომბრის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მევენახე, ოქტომბრის რევოლუციისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენების კავალერი, ჰურიე ჯაყელი, ჰურიე ჯაყელი 1937 წლიდან მუშაობს მევენახედ. ოთხ ათეულ წელზე მეტია თავზე ევლება „თავის გაზრდილ“ (როგორც თვითონ თქვა) ვაზს, არც მოვლას აკლებს და არც მზრუნველობას. ამიტომაც აღწევს სასახელო შრომის მაჩვენებლებს, ამისათვის მარტო ბოლო ხუთწლედის მონაცემებიც კმარა: 1976 წელს გეგმით უნდა ჩაებარებინა 1325 კგ. ყურძენი, ჩააბარა — 3550; 1977 წელს იგივე 1325 კგ-ს ნაცვლად 3750 კგ. ხოლო 1978 წელს 3500. მოსავალს ცუდი პირი არც წელს უჩანს, ესაა — ამინდმაც თუ შეუწყო ხელი: გვალვის შემთხვევაში ჭირს ვენახს მორწყვა. შრომის პროცესი სოფ. ოქტომბრის კოლმეურნეობაშიც, ისევე როგორც საერთოდ მთიან აჭარაში, უმეტესად ხელით მიმდინარეობს, ხელი კი მადლიანი და მზრუნველი აქვს ჰურიე ჯაყელს. ამის დასტურია გასულ წლებთან შედარებით მიმდინარე წელს აღებული გადიდებული ვალდებულებანი. საამისოდ კი ყველაფერი იღონა: დროულად შეიტანა ორგანული და მინერალური სასუქები, ხარისხიანად ჩაატარა ყველა მწვანე და ქიმიური ოპერაცია.

როგორც ზემოთაც ითქვა, აჭარაში მევენახეობა ერთი შეხედვით „ახალი“ დარგია, მაგრამ ჰურიე ჯაყელს სჯერა, რომ უკვე არსებობს საკმაო პირობები, რომ მევენახეობა გახდეს მთიანი აჭარის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი.

ჰურიე ჯაყელი საკუთარ ვენახში მოწეული ყურძნის წვენით ლოცავს ქართულ ოჯახს, ფუძესა და ჭერს, მშვიდობას და ყოველივე ადამიანურ სიკეთეს.

ოთარ მეოტიშვილი,
შერმადინ ქალდანი,
„დროშის“ სპეც. კორესპონდენტები.



# ვინ წერდა «Z»-ის კრიპტონიმით

გასული საუკუნის ჟურნალ-გაზეთებში ხშირად შეხვდებით „Z“-ის ხელმოწერით გამოქვეყნებულ კრიტიკულ-პოლემიკურ წერილებს, განსაკუთრებით „იმედში“, „მოამბეში“, „თეატრში“, „ივერიაში“, „კვალში“ და სხვ.

ამ წერილების (რომლებიც ლოგიკური სიმახვილითა და დამაჯერებლობით გამოირჩევა სხვა წერილებისაგან) ავტორის ვინაობა მკითხველისათვის უცნობია.

ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში მართალია ზუსტად არის მითითებული „Z“-ის ხელმოწერით რა და რა სტატიებია გამოქვეყნებული, როდის, სად და რა ნომრით, მაგრამ თვით ავტორის ვინაობა არ არის დადგენილი. ასევეა ქართული გაზეთების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაშიც (თუმცა ზოგჯერ ავტორებად მითითებულია სულ სხვა პიროვნებები, რომლებსაც „Z“-ის სტატიის ავტორად მიიჩნევენ, მაგ.: ალ. ყიფშიძე, ზ. ჭიჭინაძე და სხვა). ბუნებრივია იბადება კითხვა, ვის ეკუთვნის ზეტის („Z“-ის) ხელმოწერით გამოქვეყნებული ეს საინტერესო კრიტიკულ-პოლემიკური სტატიები?

ჟურნალ „იმედში“ (1882 წ., № 11—12, გვ. 63—73) „Z“-ის ხელმოწერით გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი: „შინაური საქმეების მაგივრად“. ამ სათაურით კიდევ ორი წერილი დაისტამბა (1883 წ., ჟურნ. „იმედი“, № 1, გვ. 81—96; № 3, გვ. 46—60)). სამივე ეს წერილი კრიტიკულ-პოლემიკური ხასიათისაა და ეხება ქუთაისის გაზეთ „შრომაში“ ბოსლეველის (ესტატე მჭედლიძის — დ. შ.) უმართებულო წერილების გამოქვეყნებას, ილია ჭავჭავაძის, რაფიელ ერისთავისა და სერგეი მესხის შესახებ; დავით კეზელის წერილებს შოთა რუსთაველზე, დავით გურამიშვილზე, აკაკი წერეთელზე და სხვ.

გაზეთ „ივერიაში“ (1895 წ., № 147, გვ. 1) „Z“-ის ხელმოწერით მეთაური წერილია დაბეჭდილი სათაურით: „უვიცის ისტორიული აბდა-უბდა“, რომელშიც საქმის ცოდნითა და ლოგიკური დამაჯერებლობითაა განხილული „ტიფლისკი ლისტოკში“ დაბეჭდილი სტატია კრწანისის ბრძოლის შესახებ (ბიბლიოგრაფიაში „Z“-ის ამ წერილს ალ. ყიფშიძეს აკუთნებენ და მის გვარს კვადრატულ ფრჩხილებში სვამენ; სტატია კი სულ სხვას ეკუთვნის — დ. შ.).

ზეტს („Z“-ს) უამრავი წერილი აქვს გამოქვეყნებული; მათი დასახელებით მკითხველს თავს აღარ შევაწყენ.

„Z“-ის კრიპტონიმის ვინაობა მიგნებულ იქნა ჩვენს მიერ ლიტერატურულ მუზეუმში დაცულ ერთ საიდუმლო ბარათში.

ქალაქ გორიდან რომანოზ ფანცხავა (მწერლობაში „ხომლელი“) სწერს საიდუმლო ბარათს თავის ძმას — იაკობ ფანცხავას (1898 წლის 9 აპრილი), თან აფრთხილებს, რომ არავის გააგებინოს ავტორის ვინაობა. იგი ძმას სწერს:

„ამ დილას მომიტანა ნიკო ლომოურმა „მოამბე“ და მითხრა, რომ დასელების მედროშე გაჭყლიტესო. წავიკითხე „ზეტის“ სტატია (დაიბეჭდა ჟურნალ „მოამბეში“, 1898 წ., № 3, გან. II, გვ. 79—88) და ძლიერ მომეწონა. ეს სტატია ეკუთვნის ნიკო ხიზანოვს (ხიზანიშვილს — დ. შ.) და ჯერ ნურავის ეტყვი. მაჭავარიანის (ივანე მაჭავარიანი — დ. შ.) არის თქო, იმიტომ რომ მაჭავარიანიც კი შესძლებს ჟორდანიას გაჭყლეტასა თქო“.

აღსანიშნავია, რომ „მოამბის“ იმავე ნომერში ნ. ხიზანიშვილმა „ურბნელის“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა ნარკვევი „ჩვენი საეკლესიო ისტორიიდან სამართალი კათალიკოზისა“.

რომანოზ ფანცხავა ჟურნალ „მოამბის“ აქტიური თანამშრომელი, მისი ერთ-ერთი დამაარსებელი იყო და მისი ცნობა, რომ „Z“-ი ნამდვილად ცნობილი ჟურნალისტი ნიკო ხიზანიშვილია, ეჭვს არ იწვევს.

ჩვენ დავინტერესდით და გადავათვალიერეთ ნ. ხიზანიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა. მუზეუმის ფონდსაცავში მივაკვლიეთ მის ერთ უცნობ ფსევდონიმს, რომლითაც ავტორმა ორი წერილი გამოაქვეყნა, ეს არის ფსევდონიმი „ნ-ო-ხ-ი“.

ნ. ხიზანიშვილმა „ნ-ო-ხ-ი“-ს ფსევდონიმით ჟურნალ „იმედში“ (1882 წ., № 11—12) დაბეჭდა წერილი „მცირე რაიმე ჩვენ მამულის-შვილობაზე“ (რაც „ბიბლიოგრაფიაში“ ნიკო ხუდადოვს მიაკუთვნეს (?) — დ. შ.).

ნ. ხიზანიშვილი გაზეთ „დროებაში“ მოღვაწეობის პარალელურად 1882 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს ჟურნალ „იმედში“, სადაც იგი ხშირად ბეჭდავდა ნარკვევებს, პუბლიცისტურ სტატიებსა თუ კრიტიკულ წერილებს (ფსევდონიმებით: ნ. ურბნელი, „ნ-ო-ხ-ი“ და სხვ.).

იყო შემთხვევები, ჟურნალის ერთსა და იმავე ნომერში ნ. ხიზანიშვილი აქვეყნებდა სხვადასხვა ხასიათის წერილებს ახალი ფსევდონიმ-კრიპტონიმებით. მისი ფსევდონიმ-კრიპტონიმების უმეტესობა ჯერ კიდევ გაუხსნელია. ყოველივე ამას მიგვანიშნებს ნიკო ხიზანიშვილის მიერ წიგნად აკინძული გამოქვეყნებული წერილები და ნარკვევები, რომლებიც დაბეჭდილია ჟურნალ „იმედში“ (1882—1883 წლებში). ეს ანაკინძი მის მეუღლეს ელისაბედ ჩერქეზიშვილს 1933 წელს გადაუცია იოსებ გრიშაშვილისათვის სამახსოვრო წარწერით.

ამ ანაკინძიდან (დაცულია ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში—დ. შ). დასტურდება, რომ ნ. ხიზანიშვილს ჟურნალ „იმედში“ ზეტის („Z“-ის) ხელმოწერით გამოუქვეყნებია წერილი: „შინაური საქმეების მაგივრად“ („იმედი“, 1882 წ., № 11—12, გვ. 3—29); იქვე ბეჭდავს ნარკვევს ნ. ურბნელის ფსევდონიმით: „უფლება და კანონი ძველ საქართველოში“ (ასე რომ, ჟურნალის ერთსა და იმავე ნომერში იბეჭდება მისი ორი წერილი და ერთი ნარკვევი).

ნიკო ხიზანიშვილი იყო თავისი დროის ფრიად განათლებული და დიდად ნაყოფიერი მოღვაწე, რომლის შესახებ აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერდა: „მის ნაშრომებში არა ერთი საგულისხმო საკითხია გაშუქებული. იყო ქართული სამართლის ისტორიის ერთადერთი მკვლევარი“.

ჩვენს მიერ მიკვლეული, დღემდე უცნობი კრიპტონიმით „Z“-ით და ფსევდონიმით „ნ-ო-ხ-ით“ გამოქვეყნებული კრიტიკულ-პოლემიკური წერილები კიდევ უფრო ამდიდრებენ ამ ნაყოფიერი შემოქმედის — ნიკო ხიზანაშვილის ცხოვრება-მოღვაწეობას, მის ლიტერატურულ-პუბლიცისტურ მემკვიდრეობას.

**დავით შულღიაშვილი.**

## ნარევი

### ვისკი და არაყი

ზოგიერთს ალბათ გაუკვირდება, როცა გაიგებს, რომ ვისკს დამჭკნარი ყვავილების გაცოცხლება შეუძლია.

ვისკის ეს უცნაური თვისება შემთხვევით აღმოაჩინა ერთმა ინგლისელმა მებაღემ. იგი რჩევას იძლევა, რომ ვისკი და არაყი ყვავილის ქოთანში კი არ უნდა ჩავასხათ, არამედ ამ ქოთნის დასადგამ თეფშზე უნდა დავასხათ პატარა დოზებით.

### ოქროს მტვერი

დიდი ხნით ადრე, ვიდრე პარიზი კოსმეტიკის მსოფლიო ცენტრად იქცეოდა, იგი ძველ რომში ყვაოდა.

რომაელი ქალები წარბების შესაღებად და გამოსაყვანად ხმარობდნენ ჭვარტლსა და ტყვიის ნაზავს, ფრჩხილებს მცენარისაგან მიღებული წითელი სითხით ილებავდნენ.

მდიდარი რომაელი პატრიცი ქალები თმებზე დიდი რაოდენობით იფრქვევდნენ ოქროს მტვერს.

### ბადმინტონი

ბადმინტონი — სპორტული თამაში ფრთიანი ბურთითა და ჩოგნით ძველ მილანში ჩაისახა.

ინგლისში (ქ. ბადმინტონში) 1872 წელს პირველად ითამაშეს სპორტის ეს სახეობა. მისი სახელწოდებაც სწორედ, აქედან წარმოსდგა.

ჩვენს ქვეყანაში ბადმინტონი გავრცელდა 1954 წლიდან.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ბადმინტონში პირველად ჩატარდა 1963 წელს თბილისში.

### უფრო ძლიერი

სათცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ადამიანის ტვინი ზოგჯერ უსწრებს და ჯობნის გამომთვლელ მანქანას.

მაგალითად, ფრანგმა დ. დავბერგმა ათი ურთულესი დავალება ზუსტად გადაწყვიტა 8 წუთსა და 48 წამში; ამ დავალებების ამოხსნას გამომთვლელმა მანქანამ კი 5 წუთი და 18 წამი მოანდომა.

### ამოკვეთილი გული

ნობელის პრემიის ლაურეატმა, ცნობილმა მეცნიერმა ა. კარელმა 1913 წელს ქათამს ამოსჭრა გული და ქიმიურ ხსნარში მოათვსა.

ამოჭრილი გული რამდენიმე წელი ცოცხლობდა — ფეთქავდა, გარშემო ეზრდებოდა ქსოვილი.

ამ ქსოვილს მეცნიერი პერიოდულად ჭრიდა ასე რომ არ მოქცეულიყო, ქსოვილი ისე გაიზრდებოდა, უზარმაზარ ადგილს დაიკავებდა.

ზოგიერთი მეცნიერი გულის განუწყვეტელი მუშაობის მიზეზად მიიჩნევს ორგანიზმში მოქმედ რადიაქტიურ ნივთიერებათა დაშლას.

### საათების ქალაქი

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქი გლასჰიუტი საქვეყნოდ ცნობილია თავისი ორიგინალური საათებით.

 აი თუნდაც ერთ-ერთი მათგანი:

ქალაქის ცენტრში არის გიგანტური ზომის უნიკალური საათი, რომელიც გასულ საუკუნეში დაამზადეს; ეს მოხდენილი საათი ყოველთვის გასაოცარი სიზუსტით უჩვენებს დროსა და მთვარის ფაზებს.



# თითქმის ყველაფერი

ამას წინათ მედალი „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ მიიღო... დელფინმა დონალდმა. ამ დელფინმა, რომელიც ინგლისის დასავლეთ სანაპიროზე ცხოვრობს, ბევრი ადამიანი გადაარჩინა დაღრჩობას. იგი თავისი ზურგით წყლის ზედაპირზე ატივტივებს ძალაგამოლეულ ადამიანს და მოთმინებით ელის მაშველის გამოჩენას.

□

მე-19 საუკუნის დასაწყისში საფრანგეთში გამოდიოდა იუმორისტული გაზეთი „რეგალ კოტიდენი“, რომელიც შეიძლებოდა წაეკითხათ და... შეეჭამათ.

სახუმარო გაზეთი თაფლკვერზე იყო დაბეჭდილი.

□

შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ გამოჩენილი მხატვრის პაბლო პიკასოს მთლიანი სახელია პაბლო დიეგო ხოსე ფრანცისკო დე პაულა ხუან ნეპაუკენო კრისტინ კრისპიანო დე ლა ხან ტისიმა ტრინდად რუის პიკასო.

□

ინდოეთში ბინადრობენ ე. წ. „მფრინავი ძაღლები“.

ამ ღამურას რაზმის წარმომადგენელი ძუძუმწოვრების ფრთების სიგრძე 1 მეტრს აღემატება.

□

ამას წინათ იაპონიის მთის სოფელ სეივში ხაფანგით დაიჭირეს უცნაური ცხოველი, რომელიც დღემდე ცნობილ ცხოველთა არც ერთ სახეობას არ განეკუთვნება.

ზოგიერთი სპეციალისტი მას გადაშენებულ ცხოველთა შემთხვევით შემორჩენილ სახეობად მიიჩნევს, ზოგიერთს კი მიაჩნია, რომ შეპყრობილი ცხოველი მგლისა და ძაღლის ჰიბრიდია.

□

უკანასკნელი 5 ათასი წლის მანძილზე ომებით განადგურებული მატერიალური სიმდიდრის თანხა რომ ოქროდ გადავაქციოთ, იგი სქელ სარტყლად შემოევლებოდა დედამიწის ეკვატორს.

□

სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ თამბაქოს მწეველ ქალებს, როგორც წესი, ნაკლები წონის ბავშვები უჩნდებათ, ვიდრე თამბაქოს არამწეველ დედებს.

□

ხანგრძლივი დაკვირვებით გამოირკვა, რომ შუახნის მამაკაცებს მიოკარდიის ინფარქტი 4-ჯერ უფრო ხშირად ემართებათ, ვიდრე ქალებს.

□

სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ინფარქტი ადამიანებს უფრო ხშირად ემართებათ დილის 7 საათიდან 10 საათამდე.

ყველაზე მეტი შემთხვევები ხდება დილის 9 საათზე.

□

ამას წინათ შვეციაში ასეთი კანონი შემოიღეს: პაციენტი, რომელიც შიშობს და სტომატოლოგის კაბინეტში შესვლას აგვიანებს, 50 დოლარით ჯარიმდება.

ამ კანონმა სასურველი შედეგი გამოიღო — პაციენტები ახლა დაუგვიანებლად შედიან ექიმთან.

როცა მოსკოვში 12 საათია...

12 საათია აგრეთვე კიევში, ვილნიუსში, კიშინიოვში, ლენინგრადში, ლვოვში, მინსკში, ტალინში...

13 საათია თბილისში, ბაქოში, ერევანში, ასტრახანში, ვოლგოგრადში, კუიბიშევში, სარატოვში, ულიანოვსკში...

14 საათია აშხაბადში, სამარყანდში, სვერდლოვსკში, უფაში, ჩელიაბინსკში...

15 საათია ალმა-ათაში, ტაშკენტში, ომსკში, ფრუნზეში...

16 საათია ბარნაულში, კრასნოიარსკში, ნოვოსიბირსკში, ტომსკში...

17 საათია ირკუტსკში, ულანუდეში...

18 საათია იაკუტსკში...

19 საათია ვლადივოსტოკში, ხაბაროვსკში...

20 საათია მაგადანში, ოხოტსკში...

●

ჩვენი პლანეტის საერთო ფართობი 510 მილიონი კვ. კილომეტრია. აქედან ზღვებსა და ოკეანეებს უჭირავთ 361 მილიონი კვადრატული კილომეტრი.

აღსანიშნავია, რომ დიდი ანუ წყნარი ოკეანის ფართობი 180 მილიონი კვადრატული კილომეტრია, ხოლო ჩვენი პლანეტის ხმელეთი მთლიანად შეადგენს 149 მილიონ კვადრატულ კილომეტრს.

●

როგორ იცვლება დროის მანძილზე დღე-ღამის ხანგრძლივობა?

ამ საკითხზე ზუსტი პასუხი გასცა გრინვიჩის ლაბორატორიის თანამშრომელმა ლ. ბორისონმა. მან შეისწავლა XVII საუკუნიდან მოყოლებული მზის დაბნელებაზე არსებული ყველა მასალა, გაანალიზა უკანასკნელი წლების ზუსტი მონაცემები.

გამოირკვა, რომ უკანასკნელი სამი საუკუნის დღე-ღამის ხანგრძლივობა გადიდდა საშუალოდ 1,5 მილიწამით ყოველ ერთ საუკუნეში.

●

დედამიწაზე ყოველ წუთს საშუალოდ 130 ადამიანი იბადება. 10 ათასი წლის წინათ დედამიწაზე ხუთ მილიონზე ნაკლები კაცი ცხოვრობდა, ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში — ამაზე 20-ჯერ მეტი, 1650 წლისთვის 2 მილიარდ 400 მილიონი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ექსპერტების გამოანგარიშებით, 2000 წელს დედამიწის მოსახლეობა 6 მილიარდზე მეტი იქნება.

●

მეცნიერებმა აღმოაჩინეს ისეთი ზომის ციური ობიექტები, რომელთა ზომა 19 მილიონ სინათლის წყაროს უდრის. ეს იმას ნიშნავს, რომ რადიოგადაცემა ამ სხეულის ერთი კიდიდან მეორეში 19 მილიონი წლის მერე მიაღწევს.

გარეკანის პირველ გვერდზე: საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ცისანა ტატიშვილი. თარხან არჩვაძის ფოტო. მეორე გვერდზე: „მთის არწივი“ (ვაჟა-ფშაველას ძეგლი ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე). მოქანდაკე გიორგი ოჩიაური ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

გადაეცა აწყობად 6/VII-79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/VIII-79 წ., ქაღალდის ზომა $70 \times 108^{1}/_{8}$, ფიზიკური ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,2, ტირაჟი 52.450. შეკვ. 1783. უე 00771. ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილების გამგეების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა











ვ. დუბილისა და ი. ზოტინის ფოტო.

# მეზობელ ინდოეთში

- საკანონმდებლო კრების სახლი ქ. ბანგალურში
- საუზმის დროც დადგა.
- კალკუტელი მტვირთავები.
- ბომბეი
- ქ. ჯაპურის ქუჩაში.



სიღნაღი.

თენგიზ ფურცხვანიძის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა